

**უხსო ქვეყნის სასამართლო  
გადანყვეტილების  
საქართველოს  
ტერიტორიაზე ცნობა და  
აღსრულება**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე  
2015, №8

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)  
2015, №8

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)  
2015, №8

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)  
2015, №8

გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ქეთევან შინგელია**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:** 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-1399-შ-45-2014

7 ივლისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

თურქმენეთის ქ. აშხაბადის კოპეტდალის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით .. წლის .. ივლისს დაბადებულ მ. ო. ძე ბ-ს ლ. ვ. ასული რ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის, არასრულწლოვანი შვილების – ... წლის .. ივნისს დაბადებული ვ-ისა და ... წლის .. აგვისტოს დაბადებული ო-ის შენახვისათვის ყოველთვიურად მოპასუხის ყველა სახის შემოსავლის 1/3-ის გადახდა 2007 წლის 27 ნოემბრიდან შვილების სრულწლოვანების მიღწევამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ლ. რ-ამ და მოითხოვა ზემოაღნიშნული დაუსრულებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით და თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 8 დეკემბერს, ამასთან მოპასუხისათვის საქმის განხილვის თაობაზე ცნობილი არ ყოფილა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა წარმოდგენილი შუამდგომლობა, თანდართული მასალები და მივიდა დასკვნამდე, რომ ლ. რ-ას შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტების თანახმად გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბა-

მისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები ან გადანყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი გადანყვეტილებით ირკვევა, რომ მოპასუხე მ. ბ-ი არ ესწრებოდა საქმის განხილვას. საქართველოში გამოგზავნილი სასამართლო დავალება მ. ბ-სათვის გზავნილის ჩაბარების თაობაზე არ შესრულდა ადრესატის არ ყოფნის გამო.

აღნიშნული ჩანაწერით ნათლად დასტურდება, რომ მოპასუხე უწყების გაგზავნის გზით არ ყოფილა გაფრთხილებული საქმის განხილვის თაობაზე, ამასთან, სასამართლოს არ მიუღია სხვა ზომები მოპასუხის გაფრთხილების მიზნით. საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის უცნობია, თურქმენეთის კანონმდებლობის შესაბამისად, საკმარისია თუ არა ადრესატისათვის უწყების ერთხელ გაგზავნა სასამართლოსათვის ცნობილ მისამართზე და ჩაუბარებლობის შემთხვევაში, არის თუ არა სასამართლო უფლებამოსილი განიხილოს საქმე მხარის დაუსწრებელად, მაგრამ ამგვარი წესით საქმის განხილვა ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითადად სამართლებრივ პრინციპებს, კერძოდ კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ძირითად სამართლებრივ პრინციპებსა და გარანტიებს, ვინაიდან გზავნილის პირველად ჩაუბარებლობის შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია, დამატებითი ღონისძიებები გაატაროს მხარის ინფორმირების მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. რ-ას შუამდგომლობა ვერ დაკმაყოფილდება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. რ-ას შუამდგომლობა თურქმენეთის ქ. აშხაბადის კოპეტდალის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 ნოემბრის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

2. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანჩინება

№ა-3022-შ-92-2014

17 ნოემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** მამობის დადგენა

### აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარის კორენოვის რა-  
იონული სასამართლოს 2002 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილე-  
ბით დადგინდა, რომ .... წლის ....მარტს დაბადებული ი. ა. ძე ა-ი  
არის .... წლის ... მამის ქ. თბილისში დაბადებული ი. ი. ძე ს-ის  
მამა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატას განცხადებით მომართა ი. ს-მა და მოითხოვა დასა-  
ხელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე  
ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვე-  
ტილებით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაშია შესული 2002  
წლის 4 აპრილიდან და მოპასუხემ სარჩელი ცნო.

2014 წლის 30 სექტემბრის განცხადების თანახმად, ი. ა-ი შუ-  
ამდგომლობას ეთანხმება.

### სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თან-  
დართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული  
შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა  
გამო:

რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარის კორენოვის რა-  
იონული სასამართლოს 2002 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილე-  
ბით დადგინდა, რომ ... წლის ... მარტს დაბადებული ი. ა. ძე ა-ი  
არის .... წლის ... მამის ქ. თბილისში დაბადებული ი. ი. ძე ს-ის  
მამა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს

კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულ ნორმაში მითითებული დამატკობლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარის კორენოვის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი ს-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარის კორენოვის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც დადგინდა, რომ .... წლის ... მარტს დაბადებული ი. ა. ძე ა-ი არის .... წლის ... მაისს ქ. თბილისში დაბადებული ი. ი. ძე ს-ის მამა;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანჩინება

№ა-2811-შ-81-2014

22 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** შვილად აყვანა

### აღწერილობითი ნაწილი:

საბერძნეთის ვოლოს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით დამტკიცდა ა. ხ. ძე ბ-ს მიერ მ. რ. ასული ნ-ის შვილად აყვანა, რომელიც არის განმცხადებლის მეუღლის, მ. გ. ასული ნ-ის შვილი.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა მ. ნ-ის წარმომადგენელმა მ-ე ნ-მა და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაშია შესული.

### სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საბერძნეთის ვოლოს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით დამტკიცდა ა. ხ. ძე ბ-ს მიერ მ. რ. ასული ნ-ის შვილად აყვანა, რომელიც არის განმცხადებლის მეუღლის, მ. გ. ასული ნ-ის შვილი.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარ-

და იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულ ნორმაში მითითებული დამატკობელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, საბერძნეთის ვოლოს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ნ-ის წარმომადგენელ მ-ე ნ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საბერძნეთის ვოლოს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2014 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე დამტკიცდა ა. ხ. ძე ბ-ს მიერ მ. რ. ასული ნ-ის შვილად აყვანა, ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება



# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანჩინება

№ა-1247-შ-34-2014

8 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ლეფორტოვის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 31 ოქტომბრის განაჩენით ქ. მოსკოვის ლეფორტოვის რაიონის პროკურორის სარჩელი სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის მოსკოვის საქალაქო ფონდის ინტერესებში დაკმაყოფილდა სრულად, ა. დ-ს სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის მოსკოვის საქალაქო ფონდის სასარგებლოდ დაეკისრა 12 466, 84 რუსული რუბლის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მომართა სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის მოსკოვის საქალაქო ფონდის დირექტორი ა. რეშეტნიკოვმა და მოითხოვა ზემოაღნიშნული განაჩენის სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 16 იანვარს, ა. დ-ი ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე კანონით დადგენილი წესით, ასევე განაჩენი სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

### სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ლეფორტოვის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 31 ოქტომბრის განაჩენით ქ. მოსკოვის ლეფორტოვის რაიონის პროკურორის სარჩელი სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის მოსკოვის საქალაქო ფონდის ინტერესებში დაკმაყოფილდა სრულად, ა. დ-ს სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის მოსკოვის საქალაქო ფონდის სასარგებლოდ დაეკისრა 12 466, 84 რუსული რუბლის გადახდა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმავე მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი გამონაკლისებისა.

იმავე კანონის 70-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მიხედვით, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას. აღსრულებაზე გადაწყვეტილება მიიღება დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ.

პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი გადაწყვეტილების ცნობის დამაბრკოლებელი გარემოებები, ამასთან რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ლეფორტოვის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 31 ოქტომბრის განაჩენი სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ექვემდებარება აღსრულებას და მხარეს აღძრული აქვს შესაბამისი შუამდგომლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ლეფორტოვის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 31 ოქტომბრის განაჩენი ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის მოსკოვის საქა-

ლაქო ფონდის დირექტორი ა. რეშეტნიკოვის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ლეფორტოვის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 31 ოქტომბრის განაჩენი ქ. მოსკოვის ლეფორტოვის რაიონის პროკურორის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში (რომლის ძალითაც ა დ-ს სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის მოსკოვის საქალაქო ფონდის სასარგებლოდ დაეკისრა 12 466, 84 რუსული რუბლის გადახდა) და მიექცეს აღსასრულებლად;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-3558-შ-96-2014

8 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
თ. თოდრია**

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბელარუსის რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის სასამართლოს 2014 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა. ტ-ს (დაბადებულს ... წლის .... მაისს შუახვევის რაიონში, მცხოვრებს ბათუმში, თ. მ. დ-ა, კორპუსი №26, ბინა №33-ში) ზ. ტ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა შვილების - .... წლის .... იანვარს დაბადებული ზ-სა და ... წლის ... ივლისს დაბადებული ა-ას რჩენისათვის თვეში ხელფასის ან/და სხვა შემოსავლის 33%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ საარსებო მინიმუმის 75%-სა საშუალოდ ერთ სულზე, 2014 წლის 1 სექტემბრიდან შვილების სრულწლოვანებამდე. ამავე გადაწყვეტილებით ა. ტ-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა ბაჟის გადახდა 1278150 რუბლის ოდენობით.

ზ. ტ-მ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობით მოითხოვა ბელარუსის რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის სასამართლოს 2014 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ალიმენტის დაკისრების ნაწილში, ხოლო ბელარუსის რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის სასამართლომ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობით მოითხოვა ბელარუსის რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის სასამართლოს 2014 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ა. ტ-სათვის ბაჟის დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ნოემბრის განჩინებით ზ. ტ-ისა და ბელარუსის რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის სასამართლოს შუამდგომლობები წარმოებაში იქნა მიღებული. ამავე განჩინებით მოპასუხეს განემარტა საქმის მასალების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში შუამდგომლობების თაობაზე თავისი მოსაზრების წარმოდგენისა და საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის მოთხოვნის უფლების შესახებ.

ზემოაღნიშნული განჩინების, შუამდგომლობებისა და თანდართული მასალების ასლები მოპასუხე ა. ტ-ს გაეგზავნა 2014 წლის 19 ნოემბერს და ჩაბარდა 2014 წლის 24 ნოემბერს, თუმცა მას განჩინებით განსაზღვრულ ვადაში აღნიშნულ შუამდგომლობებზე აზრი არ გამოუთქვამს, ასევე, არ მოუთხოვია საქმის ზეპირი განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ზ. ტ-ისა და ბელარუსის რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის სასამართლოს შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ბელარუსის რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის სასამართლოს 2014 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა. ტ-ს (დაბადებულს ... წლის ... მაისს შუახევის რაიონში, მცხოვრებს ბათუმში, თ. მ. დ-ა, კორპუსი №26, ბინა №33-ში) ზ. ტ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა შვილების - ... წლის ... იანვარს დაბადებული ზ-ისა და ... წლის ... ივლისს დაბადებული ა-ას რჩენისათვის თვეში ხელფასის ან/და სხვა შემოსავლის 33%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ საარსებო მინიმუმის 75%-სა საშუალოდ ერთ სულზე, 2014 წლის 1 სექტემბრიდან შვილების სრულწლოვანებამდე. ამავე გადაწყვეტილებით ა. ტ-

ს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა ბაჟის გადახდა 1278150 რუბლის ოდენობით.

შუამდგომლობებზე დართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ბელარუსის რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის სასამართლოს 2014 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების გამოტანამდე საქმის წარმოების თაობაზე გაფრთხილებული იყო მოპასუხე ა. ტ-ე, მას ჩაბარდა საქმის მასალები ბათუმში, თ. მ. დ-ა, კორპუსი №26, ბინა №33-ში; 2014 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2014 წლის 7 ოქტომბერს და მისი აღსრულება ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ განხორციელებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუკი არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ისეთი გარემოებანი, როგორცაა: ა. საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ. გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ. უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე. უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთ და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ. გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მსგავსი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, ადგილი არ აქვს არც „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ყველა საფუძვე-

ლი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს ბელარუსის რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის სასამართლოს 2014 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ზ. ტ-ისა და ბელარუსის რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის სასამართლოს შუამდგომლობები დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და დაექვემდებაროს აღსრულებას ბელარუსის რესპუბლიკის ვიტებსკის ოლქის სასამართლოს 2014 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც: 1. ა. ტ-ს (დაბადებულს ... წლის ...მამის შუახევის რაიონში, მცხოვრებს ბათუმში, თ. მ. დ-ა, კორპუსი №26, ბინა №33-ში) ზ ტ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა შვილების - ... წლის ...იანვარს დაბადებული ზ-ისა და ... წლის ... ივლისს დაბადებული ა-ას რჩენისათვის თვეში ხელფასის ან/და სხვა შემოსავლის 33%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ საარსებო მინიმუმის 75%-სა საშუალოდ ერთ სულზე, 2014 წლის 1 სექტემბრიდან შვილების სრულწლოვანებამდე; 2. ა. ტ-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა ბაჟის გადახდა 1278150 რუბლის ოდენობით;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**განჩინება**

№ა-311-შ-10-2014

1 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ჯ. ბ-ს“ შპს „ო. ი. ე-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა საურავის – 16181,16 აშშ დოლარისა და საარბიტრაჟო მოსაკრებლის – 6999 აშშ დოლარის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა შპს „ო. ი. ე-მ“ და მოითხოვა ზემოაღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

განცხადების ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით და თანდართული მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხისათვის ცნობილი იყო საქმის განხილვის თაობაზე, გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა გამოტანისთანავე და არ აღსრულებულა რუსეთის ტერიტორიაზე.

შპს „ჯ. ბ-მ“ საარბიტრაჟო მოსაკრებლის დაკისრების ნაწილში ცნო შუამდგომლობა და სასამართლოს საურავის დაკისრების ნაწილში შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თხოვნით მომართა. მისი მითითებით, შპს „ჯ. ბ-ს“ ბრალი არ მიუძღვის ხელშეკრულების დარღვევაში. მოსარჩელემ თავად დაარღვია შეთანხმების პირობა და საქართველოს ბაზარზე სხვა დისტრიბუტორი შემოიყვანა, რამაც მოპასუხის საქმიანობა შეაფერხა, გარდა ამისა, 2012 წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით მოპასუხემ დავალიანება დაფარა, ამიტომ საურავის დარიცხვა გაუმართლებელია. მრავალწლიანი ურთიერთობის პე-

რიოდში მოპასუხეს არც ერთხელ არ დაურღვევია ხელშეკრულების პირობები, რაც გათვალისწინებული არ ყოფილა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შპს „ო. ი. ე-ს“ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 73<sup>1</sup>-ე მუხლის მიხედვით საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

„არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით.

იმავე მუხლის თანახმად, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასთან დაკავშირებულ შუამდგომლობებს განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა არ ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე მიუთითებს „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებებზე ან სასამართლო დაადგენს, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები.

რაც შეეხება შპს „ჯ. ბ-ის“ შუამდგომლობას, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება,



ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შეიძლება უარი ეთქვას, თუ:

ა) მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მიმართავს სარჩელით სასამართლოს და დაამტკიცებს, რომ:

ა.ა) საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე ქმედუუნარო იყო;

ა.ბ) იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა მიუთითეს საარბიტრაჟო შეთანხმებაში, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია;

ა.გ) მხარე არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვა საპატიო მიზეზების გამო ვერ მიიღო მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვაში;

ა.დ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით ან ეხება საკითხს, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შეიძლება უარი ეთქვას მთლიანად ან მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს;

ა.ე) არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა;

ა.ვ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში ანდა გაუქმებულ ან შეჩერებულ იქნა იმ ქვეყნის სასამართლოს მიერ, სადაც გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, ან იმ ქვეყნის სასამართლოს მიერ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი.

მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეს ამგვარ გარემოებებზე არ მიუთითებია. მხარე ამტკიცებს, რომ შპს „ჯ. ბ-ს“ ბრალი არ მიუძღვის ხელშეკრულების დარღვევაში. მოსარჩელემ თავად დაარღვია შეთანხმების პირობა და საქართველოს ბაზარზე სხვა დისტრიბუტორი შემოიყვანა, რამაც მოპასუხის საქმიანობა შეაფერხა, გარდა ამისა, 2012 წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით მოპასუხემ დავალიანება დაფარა, ამიტომ საურავის დარიცხვა გაუმართლებელია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობის ფარგლებში, საქართველოს უზენაესი სასა-

მართლო დავას არსებითად არ იხილავს, არამედ, უნდა გადან-  
ყდეს უკვე მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საქარ-  
თველოს ტერიტორიაზე ცნობის საკითხი, რა მიზნითაც, სასა-  
მართლო იკვლევს, ხომ არ განხორციელდა საარბიტრაჟო სასა-  
მართლოში საქმის განხილვა მნიშვნელოვანი საპროცესო დარ-  
ღვევებით, რაც კერძოსამართლებრივი დავების განხილვის ძი-  
რითად პრინციპებს იმდენად ეწინააღმდეგება, რომ გადაწყვე-  
ტილების ცნობასა და აღსრულებას გამოორიცხავს („არბიტრა-  
ჟის შესახებ“ კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტი). ამგვარი  
გარემოებების არსებობის შესახებ მოპასუხემ უნდა მიუთითოს  
და შესაბამისი მტკიცებულებები წარმოადგინოს, რაც მოცემულ  
შემთხვევაში, მხარეს არ შეუსრულებია. საყურადღებოა ის ფაქ-  
ტი, რომ სადავო გადაწყვეტილების მიხედვით, მოპასუხე მისი  
დასწრების გარეშე საქმის განხილვას დაეთანხმა და ამ საკითხს  
არც წარმოდგენილი შუამდგომლობის ფარგლებში ხდის სადა-  
ვოდ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამარ-  
თლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს შუ-  
ამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლები,  
შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პა-  
ლატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტ-  
რაჟო სასამართლოს 2013 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება  
ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს  
აღსასრულებლად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „არბიტრაჟის შე-  
სახებ“ საქართველოს კანონის 44-ე, 45-ე მუხლებით, სამოქა-  
ლაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 78-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ო. ი. ე-ს“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატას-  
თან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სა-  
სამართლოს 2013 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება, რომლის  
საფუძველზეც შპს „ჯ. ბ-ს“ შპს „ო. ი. ე-ს“ სასარგებლოდ დაე-  
კისრა საურავის – 16181,16 აშშ დოლარისა და საარბიტრაჟო მო-  
საკრებლის – 6999 აშშ დოლარის გადახდა, ცნობილ იქნეს სა-  
ქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანჩინება

№ა-2817-შ-83-2014

5 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ალიმენტის გადახდა, სასამართლო ხარჯე-  
ბის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ქ. მაკეევის ჩერნოგვარდების რაიონული სასამარ-  
თლოს 2014 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით ხ. მ-ის სარჩე-  
ლი დაკმაყოფილდა, ვ. ვ. ძე ნ-ას არასრულწლოვანი შვილის .....  
წელს დაბადებულ ვ. ვ. ძე ნ-ას შენახვისათვის დაეკისრა თვეში  
1000 გრივნის გადახდა 12.12.2013 წლიდან. მოპასუხეს ასევე  
დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 243,60 გრივნის გადახდა.

10.09.14 წელს საქართველოს უზენაეს სასამართლოს გან-  
ცხადებით მომართა ხ. მ-მა და მოითხოვა ზემოაღნიშნული გა-  
დაწყვეტილების ალიმენტის დაკისრების ნაწილში საქართვე-  
ლოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება. სასამართლოს ასე-  
ვე მომართა უკრაინის ქ. მაკეევის ჩერნოგვარდების რაიონული  
სასამართლოს მოსამართლე ნ. კ-ამ ზემოაღნიშნული გადაწყვე-  
ტილების სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში ცნობი-  
სა და აღსრულების მოთხოვნით.

განცხადებაზე თანდართული მასალებით დასტურდება, რომ  
გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 27.06.2014 წელს,  
უკრაინის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა და ვ. ნ-ას ეცნობა  
საქმის განხილვის თაობაზე.

ვ. ნ-ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა  
მოითხოვა და მიუთითა, რომ ხ. მ-თან ქორწინებაში არ ყოფი-  
ლა. ბავშვი, რომლისთვისაც ის ალიმენტის დაკისრებას ითხოვს,  
მისი შვილი არ არის. ქ. მაკეევის ჩერნოგვარდების რაიონული  
სასამართლო 2014 წლის აპრილიდან არ ფუნქციონირებს, ვი-  
ნაიდან კონფლიქტის ზონაში იმყოფება და გადაწყვეტილება  
ყალბია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატა გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის ქ. მაკეევის ჩერნოგვარდების რაიონული სასამართლოს 2014 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით ხ. მ-ის სარჩული დაკმაყოფილდა, ჯ. ვ. ძე ნ-ას არასრულწლოვანი შვილის ..... ნელს დაბადებულ ვ. ჯ. ძე ნ-ას შენახვისათვის დაეკისრა თვეში 1000 გრივნის გადახდა 12.12.2013 წლიდან. მოპასუხეს ასევე დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 243,60 გრივნის გადახდა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმავე მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი გამონაკლისებისა.

იმავე კანონის 70-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მიხედვით, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას. აღსრულებაზე გადაწყვეტილება მიიღება დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ.

პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი გადაწყვეტილების ცნობის დამაბრკოლებელი გარემოებები, ამასთან უკრაინის ქ. მაკეევის ჩერნოგვარდების რაიონული სასამართლოს 2014 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას და მხარეს აღძრული აქვს შესაბამისი შუამდგომლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ უკრაინის ქ. მაკეევის ჩერნოგვარდების რაიონული სასამართლოს 2014 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

რაც შეეხება ჯ. ნ-ას მტკიცებას, რომ ხ. მ-თან ქორწინებაში არ ყოფილა და ბავშვი, რომლისთვისაც ის აღიშენების დაკისრებას ითხოვს, მისი შვილი არ არის, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავა არსებითად არ იხილება და მხარეს შეეძლო, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ცნო-

ბის დამაბრკოლებელ გარემოებებზე მიეთითებინა, რაც მას არ შეუსრულებია.

მხარე ასევე ამტკიცებს, რომ უკრაინის ქ. მაკეევის ჩერნოგვარდის რაიონული სასამართლო 2014 წლის აპრილიდან არ ფუნქციონირებს, ვინაიდან კონფლიქტის ზონაში იმყოფება და გადაწყვეტილება ყალბია, მაგრამ ამ ფაქტის დამდასტურებელი მტკიცებულება წარმოდგენილი არ ყოფილა, შესაბამისად, სასამართლო მხარის მხოლოდ სიტყვიერ განმარტებას ვერ დაეყრდნობა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 68-70 მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ხ. მ-ისა და უკრაინის ქ. მაკეევის ჩერნოგვარდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნ. კონონიხინას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. უკრაინის ქ. მაკეევის ჩერნოგვარდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ხ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ჯ. ვ. ძე ნ-ას არასრულწლოვანი შვილის ..... წელს დაბადებულ ვ. ჯ. ძე ნ-ას შენახვისათვის დაეკისრა თვეში 1000 გრივნის გადახდა 12.12.2013 წლიდან და სახელმწიფო ბაჟის 243,60 გრივნის გადახდა, ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანდინება

№ა-2918-შ-89-2014

5 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ჰილდესჰაიმის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. მ-მ-სა და ბ. მ-ს შორის 29.10.2001 წელს ჰილდესჰაიმის მმარის ბიუროში რეგისტრირებული №470 ქორწინება შეწყდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ნ. მ-მ-მა და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და მხარეები მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

### სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის ჰილდესჰაიმის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. მ-მ-სა და ბ. მ-ს შორის 29.10.2001 წელს ჰილდესჰაიმის მმარის ბიუროში რეგისტრირებული №470 ქორწინება შეწყდა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარ-

და იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, გერმანიის ჰილდესჰაიმის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. მ-მ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის ჰილდესჰაიმის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ნ. მ-მ-სა და ბ. მ-ს შორის 29.10.2001 წელს ჰილდესჰაიმის მმარის ბიუროში რეგისტრირებული №470 ქორწინება შეწყდა; განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-66-შ-2-2014

5 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** დავალიანების ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით შპს „გ. პ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ტ. პ-სა“ შპს „გ. პ-ს“ შორის გაფორმებული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების შექმნის შესახებ 05.04.2012 წლის №54/12 ხელშეკრულება შეწყდა, შპს „ტ. პ-ს“ შპს „გ. პ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი ვალის 5482335,75 რუსული რუბლისა და სახელმწიფო ბაჟის – 41475,46 რუსული რუბლის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მომართა შპს „გ. პ-მა“ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით.

განცხადებაზე თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 4 ივლისს, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა და შპს „ტ. პ-ი“ ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემ-



კვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადან-  
ყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება. იგი ასევე შეიძლება  
წარედგინოს სასამართლოში, სადაც გამოტანილ იქნა პირველი  
ინსტანციის გადანყვეტილება. ეს სასამართლო შუამდგომლო-  
ბას გადასცემს სასამართლოს, რომელიც კომპეტენტურია გა-  
მოიტანოს გადანყვეტილება ამ შუამდგომლობაზე.

იმავე კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი,  
სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადან-  
ყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვისა და აღიარე-  
ბის თაობაზე, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ წინამდე-  
ბარე კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ  
შემთხვევაში თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს  
გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუ-  
ამდგომლობა აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული კონვენციის 53-  
ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და არც კონვენცი-  
ის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმა-  
ყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არსებობს.

კონვენციის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით იძულე-  
ბითი აღსრულების წესი განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხა-  
რის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორ-  
ციელდეს იძულებითი აღსრულება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „გ. პ-ის“ შუამ-  
დგომლობა ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის  
15 მაისის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობა-  
ზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება შპს „ტ. პ-ის“ მოსაზრებას, საკასაციო სასამარ-  
თლო მიუთითებს, რომ მხარეს არ მიუთითებია გადანყვეტილე-  
ბის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის დამაბრკოლებელი  
გარემოებების შესახებ და არ წარმოუდგენია შესაბამისი მტკი-  
ცებულებები, ხოლო განმარტება იმის შესახებ, რომ მხარეებს  
შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება დავალიანების დაფარვის  
თაობაზე, არ აბრკოლებს სადავო გადაწყვეტილების საქართვე-  
ლოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსასრულებლად მიქცევას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა  
„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სა-  
მართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთო-  
ბების შესახებ“ კონვენციის 53-ე მუხლით, სამოქალაქო საპრო-  
ცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

## დაადგინა:

1. შპს „გ პ-ის“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შპს „ტ პ-სა“ შპს „გ პ-ს“ შორის გაფორმებული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების შექმნის შესახებ 05.04.2012 წლის №54/12 ხელშეკრულება შეწყდა, შპს „ტ პ-ს“ შპს „გ პ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი ვალის 5482335,75 რუსული რუბლისა და სახელმწიფო ბაჟის – 41475,46 რუსული რუბლის გადახდა და მიექცეს აღსასრულებლად;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

### განჩინება

№ა-428-შ-13-2014

20 ნოემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** დავალიანების ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „პ-ას“ შპს „მ-ოს“ სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი ვალის 81 492,32 აშშ დოლარის, პირგასამტეხლოს 26810,97 აშშ დოლარის ასევე სახელმწიფო ბაჟის – 39244,52 რუსული რუბლის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა შპს „მ-ომ“ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით.

განცხადებაზე თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 23 აგ-

ვისტოს, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა და შპს „პ-ა“ ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე. ამ უკანასკნელმა სარჩელი ცნო.

შპს „პ-ამ“ საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსაზრება წარმოადგინა და მიუთითა, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. სასამართლომ დავის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ნორმები გამოიყენა, განსახილველი საქმე კი, სამოქალაქო სამართლებრივი კატეგორიის იყო. სასამართლომ დაარღვია სამართალწარმოების ძირითადი პრინციპები და სხვა დარგის სამართლის ნორმებით იხელმძღვანელა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება. იგი ასევე შეიძლება წარედგინოს სასამართლოში, სადაც გამოტანილ იქნა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. ეს სასამართლო შუამდგომლობას გადასცემს სასამართლოს, რომელიც კომპეტენტურია გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ შუამდგომლობაზე.

იმავე კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვისა და აღიარების თაობაზე, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული კონვენციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და არც კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმა-

ყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არსებობს.

კონვენციის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით იძულებითი აღსრულების წესი განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „მ-ოს“ შუამდგომლობა ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს შპს „პ-ას“ მტკიცებას, რომ რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. მხარე მიუთითებს, რომ სასამართლომ დავის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ნორმები გამოიყენა, განსახილველი საქმე კი, სამოქალაქო სამართლებრივი კატეგორიას განეკუთვნებოდა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 68.2 (ზ) მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ შუამდგომლობის განხილვის ფარგლებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს შეფასების საგანი არ არის, სწორად გამოიყენა თუ არა უცხო ქვეყნის სასამართლომ სამართლის ნორმები, არამედ, ზემოაღნიშნული ნორმის მიზნებისათვის, არსებითია, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა ან გადაწყვეტილებით დამდგარი სამართლებრივი შედეგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

მხარე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის კიდევ ერთ საფუძველად „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 45-ე მუხლს ასახელებს და მიუთითებს, რომ სასამართლო სხდომაზე საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლო, დასახლების მიუხედავად, კერძო არბიტრაჟი არ არის, არამედ რუსეთის ფედერაციის საერთო სასამართლოთა სისტემაში შედის, შესაბამისად, „არბიტრაჟის შესახებ“ კანონი მოცემულ შუამდგომლობაზე არ ვრცელდება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „მ-ოს“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შპს „მ-ას“ შპს „მ-ოს“ სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი ვალის 81 492,32 აშშ დოლარის, პირგასამტეხლოს 26810,97 აშშ დოლარის ასევე სახელმწიფო ბაჟის – 39244,52 რუსული რუბლის გადახდა და მიექცეს აღსასრულებლად;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

### **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

#### **განჩინება**

№ა-2199-შ-62-2014

8 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საბერძნეთის ქ. სალონიკის ერთწევრიანი სასამართლოს 2014 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით შეწყდა ს. ი-სა და შ. ქ-ას შორის აღმოსავლეთ მართლმადიდებელი ეკლესიის წესის თანახმად, ქ. სალონიკის ელევტერიოს-კორდელიოს რ-ის ფერისცვალების ეკლესიაში 13.05.2008 წელს შესრულებული ქორწინება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომარ-

თა შ. ქ-ას წარმომადგენელმა ნ. ხ-მ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაში შევიდა გამოსცხადებისთანავე, მხარეებმა ერთობლივი განცხადებით მიმართეს სასამართლოს და განმცხადებლების ადვოკატი ესწრებოდა საქმის განხილვას.

ს. ი-მა საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა და მიუთითა, რომ შ. ქ-ას მიმართ პრეტენზია არ აქვს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატა გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საბერძნეთის ქ. სალონიკის ერთნევრიანი სასამართლოს 2014 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით შეწყდა ს. ი-სა და შ. ქ-ას შორის აღმოსავლეთ მართლმადიდებელი ეკლესიის წესის თანახმად, ქ. სალონიკის ელექტერიოს-კორდელიოს რ-ის ფერისცვალების ეკლესიაში 13.05.2008 წელს შესრულებული ქორწინება.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, საბერძნეთის ქ. სალონიკის ერთნევრიანი სასამართლოს 2014 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო

კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შ. ქ-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
  2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე საბერძნეთის ქ. სალონიკის ერთწევრიანი სასამართლოს 2014 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შეწყდა ს. ი-სა და შ. ქ-ას შორის აღმოსავლეთ მართლმადიდებელი ეკლესიის წესის თანახმად, ქ. სალონიკის ელევტერიოს-კორდელიოს რის ფერისცვალების ეკლესიაში 13.05.2008 წელს შესრულებული ქორწინება;
- განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-2379-შ-72-2014

18 ნოემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საბერძნეთის ქ. ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ლ.-ზ-სა და კ. ზ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა მ. ლ.-ზ-მ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაშია შესული და მხარეები მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატა გაცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საბერძნეთის ქ. ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ლ.-ზ.-სა და კ. ზ.-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, საბერძნეთის ქ. ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მ. ლ.-ზ.-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე საბერძნეთის ქ. ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2013 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც მ. ლ.-ზ.-სა და კ. ზ.-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება



# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-3075-შ-80-2013

8 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „ა-ს“ ლსს „ა. ს-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების 52024,46 ლარის, 141776,27 ლარის ასევე მოსარჩელის მიერ გაღებული საარბიტრაჟო მოსაკრებლის – 354 0000 რუსული რუბლის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მომართა ლსს „ა. ს-მა“ აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 ნოემბრის განჩინებით შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში. მოწინააღმდეგე მხარეს, სს „ა-ს“ გაეგზავნა განჩინების ასლი, შუამდგომლობა და თანდართული მასალები.

### სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

იმავე კანონის 57-ე მუხლის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქეები და იურიდიული პირები, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირები სამოქალაქო პროცესში საქართველოს ტერიტორიაზე სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი გარანტიებით, როგორც საქართველოს მოქალაქეები და იურიდიული პირები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული თავისი ან მოპასუხის მისამართი არასწორი აღმოჩნდა, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 ნოემბრის განჩინებით შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში. მოწინააღმდეგე მხარეს, სს „ა-ს“ გაეგზავნა განჩინების ასლი, შუამდგომლობა და თანდართული მასალები შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებულ მისამართზე: ქ. თბილისი, რ. გამზ. №36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს კურიერის მიერ შედგენილი აქტით დასტურდება, რომ სს „ა-ი“ ამ მისამართზე აღარ მდებარეობს. გზავნილი განმეორებით გაიგზავნა სასამართლოსათვის ცნობილ ერთადერთ მისამართზე, მაგრამ ადრესატს ვერ ჩაბარდა.

პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი არასწორია, სს „ა. ს-ის“ შუამდგომლობა განუხილველად უნდა დარჩეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით.

ვინაიდან სასამართლოსათვის ცნობილი არ არის სს „ა-ის“ ალტერნატიული მისამართი ან სხვა საკონტაქტო მონაცემები, შუამდგომლობის ავტორისათვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით ვერ ხერხდება, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარისათვის განჩინების ჩაბარება საჯარო შეტყობინების ვერ-გვერდზე განთავსების გზით უნდა განხორციელდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე, 58-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 71-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ღსს „ა. ს-ის“ შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებას საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დარჩეს განუხილველად;
2. განჩინება, მოპასუხე სს „ა-სათვის“ ჩაბარების მიზნით, გავრცელდეს საჯაროდ და განთავსდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge);
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანკინება

№ა-3809-შ-99-2013

9 ივლისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ვ. როინიჭვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

თურქეთის რესპუბლიკის გაზიოსმანფაშას სააღსრულებო  
იურისდიქციის სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვე-  
ტილებით:

1. დაკმაყოფილებული იქნა კრედიტორის მოთხოვნა პრო-  
ტესტის (გასაჩივრება) მოხსნის თაობაზე; მოხსნილი იქნა გაზი-  
ოსმანფაშას პირველი სააღსრულებო სამმართველოს სააღსრუ-  
ლებო მოქმედებების შესახებ 2009/12917 გადაწყვეტილებაზე  
დადებული პროტესტი (გასაჩივრება).

2. მოპასუხე მოვალის (ი. ა-ის) პროტესტის მოხსნისათვის სა-  
ერთო თანხის 126.420 თურქული ლირის 40% ოდენობით ანუ  
50.568 თურქული ლირა, როგორც სააღსრულებო მოქმედებე-  
ბის გასაჩივრების კომპენსაცია გამოეთხოვა მოპასუხე მოვა-  
ლეს (ი. ა-ის) და მიეცა მოსარჩელე კრედიტორს (მ. ი-ს).

3. გაუქმებულ იქნა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან  
01.02.2013 წელს მე-3 შუალედური გადაწყვეტილება დადებუ-  
ლი აკრძალვის შესახებ.

4. სასამართლო ხარჯის სახით გადახდილი 118.95 თურქული  
ლირა და სხვა ხარჯები 192.95 თურქული ლირა გადახდევინე-  
ბული იქნა მოპასუხე მოვალეს (ი. ა-ის) კრედიტორის (მ. ი-ის)  
სასარგებლოდ.

5. კრედიტორის წარმომადგენლისათვის გადახდილი ჰონო-  
რალი 440 თურქული ლირის ოდენობით გადახდევინებული იქნა  
მოპასუხე მოვალეს (ი. ა-ის) კრედიტორის (მ. ი-ის) სასარგებლოდ.

6. ზედმეტად გადახდილი ავანსი დაუბრუნდა კრედიტორს.

7. მოპასუხის მიერ გაღებული ხარჯები დარჩა მოვალის ხარ-  
ჯზე.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მ. ი-ის წარმომადგენელმა თ. რ-მ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 13 დეკემბრის განჩინებით შუამდგომლობის ავტორს თურქეთის გაზიოსმანფაშას სააღსრულებო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილების სათანადოდ დამონმებული ეგზემპლარის წარმოსადგენად 10 დღის ვადა მიეცა. შუამდგომლობის ავტორმა ხარვეზი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შეავსო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 იანვრის განჩინებით მ. ი-ის შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის გაზიოსმანფაშას სააღსრულებო იურისდიქციის სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებული იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მ. ი-ის შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის გაზიოსმანფაშას სააღსრულებო იურისდიქციის სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თურქეთის რესპუბლიკის გაზიოსმანფაშას სააღსრულებო იურისდიქციის სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით:

1. დაკმაყოფილებული იქნა კრედიტორის მოთხოვნა პროტესტის (გასაჩივრება) მოხსნის თაობაზე; მოხსნილი იქნა გაზიოსმანფაშას პირველი სააღსრულებო სამმართველოს სააღსრულებო მოქმედებების შესახებ 2009/12917 გადაწყვეტილებაზე დადებული პროტესტი (გასაჩივრება).

2. მოპასუხე მოვალის პროტესტის მოხსნისათვის საერთო თანხის 126.420 თურქული ლირის 40% ოდენობით ანუ 50.568 თურქული ლირა, როგორც სააღსრულებო მომედებების გასაჩივრების კომპენსაცია გამოეთხოვა მოპასუხე მოვალეს და მიეცა მსარჩელე კრედიტორს.

3. გაუქმებულ იქნა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან 01.02.2013 წელს მე-3 შუალედური გადაწყვეტილება დადებული აკრძალვის შესახებ.

4. სასამართლო ხარჯის სახით გადახდილი 118.95 თურქული ლირა და სხვა ხარჯები 192.95 თურქული ლირა გადახდევინებული იქნა მოპასუხე მოვალეს კრედიტორის სასარგებლოდ.

5. კრედიტორის წარმომადგენლისათვის გადახდილი ჰონორარი 440 თურქული ლირის ოდენობით გადახდევინებული იქნა მოპასუხე მოვალეს კრედიტორის სასარგებლოდ.

6. ზედმეტად გადახდილი ავანსი დაუბრუნდა კრედიტორს.

7. მოპასუხის მიერ გაღებული ხარჯები დარჩა მოვალის ხარჯზე.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 13 აგვისტოს. თურქეთის რესპუბლიკის გაზიოსმანფაშას პირველი სააღსრულებო სამმართველოს მიერ 13.11.2013 წელს გაცემული ცნობიდან და 30.10.2013 წლის საქმის ანგარიშიდან ირკვევა, რომ მოცემული გადაწყვეტილება არ აღსრულებულა მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე. ასევე წარმოდგენილი გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ მოპასუხე ინფორმირებული იყო და მონაწილეობდა საქმის განხილვაში, ხოლო შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (მომზადების თარიღი – 29.11.2013 წ.) დგინდება, რომ მოპასუხე ი. ა-ი არის ქალაქ თბილისში, ... ბინის მესაკუთრე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, თურქეთის რესპუბლიკის გაზიოსმანფაშას სააღსრულებო იურისდიქციის სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო

კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

## და ა დ ბ ი ნ ა:

1. მ. ი-ის შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის გაზიოსმანფაშას სააღსრულებო იურისდიქციის სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად თურქეთის რესპუბლიკის გაზიოსმანფაშას სააღსრულებო იურისდიქციის სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც:

1) დაკმაყოფილებული იქნა კრედიტორის მოთხოვნა პროტესტის (გასაჩივრება) მოხსნის თაობაზე; მოხსნილი იქნა გაზიოსმანფაშას პირველი სააღსრულებო სამმართველოს სააღსრულებო მოქმედებების შესახებ 2009/12917 გადაწყვეტილებაზე დადებული პროტესტი (გასაჩივრება).

2) მოპასუხე მოვალის პროტესტის მოხსნისათვის საერთო თანხის 126.420 თურქული ლირის 40% ოდენობით ანუ 50.568 თურქული ლირა, როგორც სააღსრულებო მოქმედებების გასაჩივრების კომპენსაცია გამოეთხოვა მოპასუხე მოვალეს და მიეცა მოსარჩელე კრედიტორს.

3) გაუქმებულ იქნა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან 01.02.2013 წელს მე-3 შუალედური გადაწყვეტილება დადებული აკრძალვის შესახებ.

4) სასამართლო ხარჯის სახით გადახდილი 118.95 თურქული ლირა და სხვა ხარჯები 192.95 თურქული ლირა გადახდევინებული იქნა მოპასუხე მოვალეს კრედიტორის სასარგებლოდ.

5) კრედიტორის წარმომადგენლისათვის გადახდილი ჰონორარი 440 თურქული ლირის ოდენობით გადახდევინებული იქნა მოპასუხე მოვალეს კრედიტორის სასარგებლოდ.

6) ზედმეტად გადახდილი ავანსი დაუბრუნდა კრედიტორს.

7) მოპასუხის მიერ გაღებული ხარჯები დარჩა მოვალის ხარჯზე.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანკინება

№ა-544-შ-17-2014

9 ივლისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

ლონდონის საზღვაო არბიტრაჟი ასოციაციის (L.M.A.A) 2013 წლის 2 ნოემბრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით შპს „ე-ის“ სარჩელი გადაზიდვის ხელშეკრულებიდან, დადასტურებული გადაზიდვის ხელშეკრულების შესაბამისი დებულებებით, თანხაზე – 494,732.64 აშშ დოლარი, წარმატებით გადაწყდა შპს „ე-ის“ სასარგებლოდ. შპს „ფ-ს“ შპს „ე-ის“ სასარგებლოდ დაუყოვნებლივ გადასახდელად დაეკისრა თანხა – 494,732.64 აშშ დოლარი, მასზე დარიცხული სარგებლით 2013 წლის 31 მარტიდან გადაწყვეტილების მიღების თარიღამდე, წლიური 5% სარგებლის განაკვეთით. დავალიანება იფარება სამთვიანი გადახდებით. შპს „ფ-ის“ შეგებებული სარჩელი გადაზიდვის ხელშეკრულებიდან, არ დაკმაყოფილდა. შპს „ფ-მა“ გადაიხადოს ყველა საკუთარი ხარჯი და ასევე, ანაზღაუროს შპს „ე-ის“ ხარჯები არბიტრაჟთან დაკავშირებით, დარიცხული სტანდარტულ საფუძველზე. შპს „ფ-ს“ შპს „ე-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა პროცენტი დაკისრებული თანხაზე (ხარჯების და პროცენტების ჩათვლით) გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან ფაქტიური გადახდის მომენტამდე, წლიური 5% სარგებლის განაკვეთით. დავალიანება იფარება სამთვიანი გადახდებით. შპს „ფ-მა“ სრულად უნდა გადაიხადოს წინამდებარე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ღირებულება. თუ შპს „ე-ს“ გადახდის აქვს ხარჯები ნაწილობრივ ან სრულად, შპს „ე-ს“ ეკუთვნის გადახდის თანხის დაუყოვნებლივი კომპენსაცია, პროცენტებთან ერთად, წლიური 5%-ის განაკვეთით, პროპორციულად. იანგარიშება გადახდის დღიდან კომპენსაციის ანაზღაურების თარიღამდე. დავალიანება იფარება სამთვიანი გადახდებით.



შპს „ე-ის“ წარმომადგენელმა პ. კ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 თებერვლის განჩინებით შპს „ე-ის“ (E-R Ltd) დაევალა, განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოედგინა მოდავე მხარეთა საარბიტრაჟო შეათანხმება დედნის ან კანონით გათვალისწინებული დამონმებული ასლის სახით. დადგენილ ვადაში შპს „ე-ის“ წარმომადგენელმა პ. კ-მა განცხადებით მომართა სასამართლოს და მოითხოვა ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადის ათი დღით გაგრძელება, რადგან საჭირო იყო უცხოეთიდან გარკვეული დოკუმენტაციის გამოთხოვა და უცხო ქვეყნის ნორმატიული აქტების დამუშავება. ამავე სასამართლოს 2014 წლის 20 მარტის განჩინებით შპს „ე-ის“ წარმომადგენელ პ. კ-ის განცხადება დაკმაყოფილდა და ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადა გაგრძელდა 10 დღით. შუამდგომლობის ავტორმა ხარვეზი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შეავსო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 7 აპრილის განჩინებით შპს „ე-ის“ (E-R Ltd) წარმომადგენელ პ. კ-ის შუამდგომლობა ლონდონის საზღვაო არბიტრთა ასოციაციის (L.M.A.A) 2013 წლის 2 ნოემბრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებული იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ შპს „ე-ის“ (E-R Ltd) წარმომადგენელ პ. კ-ის შუამდგომლობა ლონდონის საზღვაო არბიტრთა ასოციაციის (L.M.A.A) 2013 წლის 2 ნოემბრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ლონდონის საზღვაო არბიტრთა ასოციაციის (L.M.A.A) 2013 წლის 2 ნოემბრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით შპს „ე-ის“ სარჩელი გადაზიდვის ხელშეკრულებიდან, დადასტურებული გადაზიდვის ხელშეკრულების შესაბამისი დებულებებით, თანხაზე – 494,732.64 აშშ დოლარი, წარმატებით გადაწყდა შპს „ე-ის“ სასარგებლოდ. შპს „ფ-ს“ შპს „ე-ის“ სასარგებლოდ დაუყოვნებლივ გადასახდელად დაეკისრა თანხა – 494,732.64 აშშ დო-

ლარი, მასზე დარიცხული სარგებლით 2013 წლის 31 მარტიდან გადაწყვეტილების მიღების თარიღამდე, წლიური 5% სარგებლის განაკვეთით. დავალიანება იფარება სამთვიანი გადახდებით. შპს „ფ-ის“ შეგებებული სარჩელი გადაზიდვის ხელშეკრულებიდან, არ დაკმაყოფილდა. შპს „ფ-მა“ გადაიხადოს ყველა საკუთარი ხარჯი და ასევე, აანაზღაუროს შპს „ე-ის“ ხარჯები არბიტრაჟთან დაკავშირებით, დარიცხული სტანდარტულ საფუძველზე. შპს „ფ-ს“ შპს „ე-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა პროცენტი დაკისრებული თანხაზე (ხარჯების და პროცენტების ჩათვლით) გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან ფაქტიური გადახდის მომენტამდე, წლიური 5% სარგებლის განაკვეთით. დავალიანება იფარება სამთვიანი გადახდებით. შპს „ფ-მა“ სრულად უნდა გადაიხადოს წინამდებარე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ღირებულება. თუ შპს „ე-ს“ გადახდილი აქვს ხარჯები ნაწილობრივ ან სრულად, შპს „ე-ს“ ეკუთვნის გადახდილი თანხის დაუყოვნებლივი კომპენსაცია, პროცენტებთან ერთად, წლიური 5%-ის განაკვეთით, პროპორციულად. იანგარიშება გადახდის დღიდან კომპენსაციის ანაზღაურების თარიღამდე. დავალიანება იფარება სამთვიანი გადახდებით.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაშია შესული და ექვემდებარება იძულებით აღსრულებას. დიდ ბრიტანეთში არ მიმდინარეობს არანაირი პროცედურა, რომელიც დაკავშირებული იქნება ამ გადაწყვეტილების აღსრულებასთან. მოპასუხეს შესაბამისი წესით ეცნობა საარბიტრაჟო განხილვის შესახებ დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობისა და ლონდონის საზღვაო არბიტრთა ასოციაციის წესების შესაბამისად და მოპასუხე მონაწილეობდა საქმის განხილვაში. 2013 წლის 28 იანვრის გადაზიდვის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილია საქართველო, ქ. ფოთი. ასევე, ფოთის საზღვაო ნავსადგურში დგას მოპასუხის – შპს „ფ-ის“ დაყადაღებული გემი „ე-ფს“ („E-F S“), მცურავი ტოგოს დროშის ქვეშ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ შპს „ე-ის“ (E-R Ltd) შუამდგომლობა აკმაყოფილებს „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების“ ნიუ-იორკის კონვენციის მოთხოვნებს, ხოლო „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 731 მუხლის თანახმად, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით. საქართველოში გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის მიზნებისათვის უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება სააპელაციო სასამართლოები, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით – საქართველოს უზენაესი სასამართლო („არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტი).

საკაცაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე და 45-ე მუხლების მოთხოვნებს, ამდენად, ლონდონის საზღვაო არბიტრთა ასოციაციის (L.M.A.A) 2013 წლის 2 ნოემბრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

„უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების“ ნიუ-იორკის კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს ცნობს როგორც სავალდებულოს და აღსრულებს მათ იმ ტერიტორიის პროცესუალური ნორმებით, სადაც მოითხოვება ამ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, ქვემოჩამოთვლილ მუხლებში ჩამოყალიბებული პირობებით. იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების მიმართ, რომლებისთვისაც გამოიყენება ეს კონვენცია, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არსებითად უფრო მძიმე პირობები ან უფრო მაღალი ბაჟი ან მოსაკრებლები იმასთან შედარებით, რომლებიც არსებობს შიდა გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებისათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიე-

კუთვნიება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებით სრულად დაკმაყოფილდა შპს „ე-ის“ (E-R Ltd) შუამდგომლობა ლონდონის საზღვაო არბიტრთა ასოციაციის (L.M.A.A) 2013 წლის 2 ნოემბრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე, შპს „ფ-ს“ (F-G Ltd) შუამდგომლობის ავტორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ შუამდგომლობაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 8 000 ლარი.

რაც შეეხება შპს „ე-ის“ (E-R Ltd) წარმომადგენელ პ. კ-ის შუამდგომლობას მოწინააღმდეგე მხარისთვის იურიდიული მომსახურებისა და დოკუმენტების მომზადების ღირებულების – 1960 ლარის დაკისრების თაობაზე, პალატას მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების“ ნიუ-იორკის კონვენციით, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „ე-ის“ (E-R Ltd) შუამდგომლობა ლონდონის საზღვაო არბიტრთა ასოციაციის (L.M.A.A) 2013 წლის 2 ნოემბრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ლონდონის საზღვაო არბიტრთა ასოციაციის (L.M.A.A) 2013 წლის 2 ნოემბრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ე-ის“ სარჩელი გადაზიდვის ხელშეკრუ-

ლებიდან, დადასტურებული გადაზიდვის ხელშეკრულების შესაბამისი დებულებებით, თანხაზე – 494,732.64 აშშ დოლარი, წარმატებით გადაწყდა შპს „ე-ის“ სასარგებლოდ. შპს „ფ-ს“ შპს „ე-ის“ სასარგებლოდ დაუყოვნებლივ გადასახდელად დაეკისრა თანხა – 494,732.64 აშშ დოლარი, მასზე დარიცხული სარგებლით 2013 წლის 31 მარტიდან გადაწყვეტილების მიღების თარიღამდე, წლიური 5% სარგებლის განაკვეთით. დავალიანება იფარება სამთვიანი გადახდებით. შპს „ფ-ის“ შეგებებული სარჩელი გადაზიდვის ხელშეკრულებიდან, არ დაკმაყოფილდა. შპს „ფ-მა“ გადაიხადოს ყველა საკუთარი ხარჯი და ასევე, ანაზღაუროს შპს „ე-ის“ ხარჯები არბიტრაჟთან დაკავშირებით, დარიცხული სტანდარტულ საფუძველზე. შპს „ფ-ს“ შპს „ე-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა პროცენტი დაკისრებული თანხაზე (ხარჯების და პროცენტების ჩათვლით) გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან ფაქტიური გადახდის მომენტამდე, წლიური 5% სარგებლის განაკვეთით. დავალიანება იფარება სამთვიანი გადახდებით. შპს „ფ-მა“ სრულად უნდა გადაიხადოს წინამდებარე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ღირებულება. თუ შპს „ე-ს“ გადახდილი აქვს ხარჯები ნაწილობრივ ან სრულად, შპს „ე-ს“ ეკუთვნის გადახდილი თანხის დაუყოვნებლივი კომპენსაცია, პროცენტებთან ერთად, წლიური 5%-ის განაკვეთით, პროპორციულად. იანგარიშება გადახდის დღიდან კომპენსაციის ანაზღაურების თარიღამდე. დავალიანება იფარება სამთვიანი გადახდებით.

3. შპს „ფ-ს“ (F-G Ltd) შპს „ე-ის“ (E-R Ltd) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ შუამდგომლობაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 8 000 ლარი და იურიდიული მომსახურებისა და დოკუმენტების მომზადების ღირებულება – 1960 ლარი.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-1367-შ-43-2014

7 ივლისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ვ. როინიჭვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ერლანგენის საქალაქო სასამართლოს საოჯახო საქმეების განყოფილების 2012 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ჩ-სა და ა. ბ-ს შორის 2007 წლის 6 ივლისს ერლანგენის იუსტიციის მოხელის წინაშე 168/07 ნომრით რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა მ. ჩ-ის წარმომადგენელმა ს. ო-მ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 20 დეკემბრიდან და მხარეები ესწრებოდნენ საქმის განხილვას.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, მ. ჩ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ

მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, გერმანიის ერლანგენის საქალაქო სასამართლოს საოჯახო საქმეების განყოფილების 2012 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის განწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ჩ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. გერმანიის ერლანგენის საქალაქო სასამართლოს საოჯახო საქმეების განყოფილების 2012 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც მ. ჩ-სა და ა. ბ-ს შორის 2007 წლის 6 ივლისს ერლანგენის იუსტიციის მოხელის წინაშე 168/07 ნომრით რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა, ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-3339-შ-90-2013

6 თებერვალი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიჭვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** მშობლის უფლების ჩამორთმევა

### აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის სამარის ოლქის ისაკლინსკის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით ო. ნ-ს ასულ შ-ას ჩამოერთვა მშობლის უფლებები ქალიშვილის – მ. ნ-ს ასული პ-ას, დაბადებულის ... წლის ... სექტემბერს, მიმართ.

ნ. პ-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა, დასახელებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 ნოემბრის განჩინებით ნ. პ-ას შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ნ. პ-ას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის სამარის ოლქის ისაკლინსკის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით ო. ნ-ს ასულ შ-ას ჩამოერთვა მშობლის უფლებები ქალიშვილის – მ. ნ-ს ასული პ-ას, დაბადებულის ... წლის ... სექტემბერს, მიმართ.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნა-



წილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, რუსეთის ფედერაციის სამარის ოლქის ისაკლინსკის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ო. ნ-ს ასულ შ-ას ჩამოერთვა მშობლის უფლებები ქალიშვილის – მ. ნ-ს ასული პ-ას, დაბადებულის ... წლის ... სექტემბერს, მიმართ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ნ. პ-ას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის სამარის ოლქის ისაკლინსკის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას რუსეთის ფედერაციის სამარის ოლქის ისაკლინსკის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ო. ნ-ს ასულ შ-ას ჩამოერთვა მშობლის უფლებები ქალიშვილის – მ. ნ-ს ასული პ-ას, დაბადებულის ... წლის ... სექტემბერს, მიმართ;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანკინება

№ა-2344-შ-67-2014

22 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „ჯ-ს“ დაეკისრა დახურული სააქციო საზოგადოება „მ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების 2841247,30 რუბლის, სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისათვის პროცენტის 279 163,34 რუბლის, ასევე მოსარჩელის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის – 339 020 რუბლის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა დსს „მ-ის“ წარმომადგენლებმა და მოითხოვეს ზემოაღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება. შუამდგომლობას თან ერთვის მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება და საარბიტრაჟო შეთანხმება, ასევე საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება, თარგმანი და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

განცხადების ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ მოპასუხე საქმის განხილვაში არ მონაწილეობდა, მაგრამ გაფორმებული იყო კანონით დადგენილი წესით.

შპს „ჯ-მა“ წარმოადგინა შეპასუხება, გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის მოთხოვნით. მხარის მტკიცებით, გადაწყვეტილება მიღებულია რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს რეგლამენტის უხეში დარღვევით. საქმის წარმოების პროცესში არაერთხელ მი-

მართეს საარბიტრაჟო სასამართლოს და აცნობეს, რომ საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 28 აგვისტოს დადგენილებით საქართველოსა და რუსეთს შორის განყვეტილი იყო დიპლომატიური ურთიერთობა. რუსეთის ფედერაციის მხრიდან მოქმედებდა საქართველოს მოქალაქეებისათვის ვიზის გაცემის ცალმხრივი შეზღუდვა, რაც შეუძლებელს ხდიდა საქმის განხილვაში მონაწილეობას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით. საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება საქართველოს უზენაესი სასამართლო.

იმავე კანონის 45.1.(ა.გ) მუხლის თანახმად, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შეიძლება უარი ეთქვას, თუ მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მიმართავს სარჩელით სასამართლოს და დაამტკიცებს, რომ მხარე არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვა საპატიო მიზეზების გამო ვერ მიიღო მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვაში.

მოცემულ შემთხვევაში, უზენაესი სასამართლოს განხილვის საგანია რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

მოპასუხის მიერ წარმოდგენილი შეპასუხებით და თანდართული მასალებით ირკვევა, რომ საქმის განხილვის დროს მოპასუხემ არაერთხელ აცნობა საარბიტრაჟო სასამართლოს საქმის განხილვაზე დასწრების შეუძლებლობის თაობაზე, რაც გათვალისწინებული არ იქნა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ მითითებული გარემოებები სინამდვილეს შეესაბამება, კერძოდ, საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 28 აგვისტოს დადგენილებით „რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ“ საქართველოსა და რუსეთს შორის განყვეტილი იყო დიპლომატიური ურთიერთობა. საქმის განხილვის დროისათვის რუსეთის ფედერაციის მხრიდან მოქმედებდა საქართველოს მოქალაქეებისათვის ვიზის გაცემის ცალმხრივი შეზღუდვა, რის გამოც, მხარეს ობიექტურად არ შეეძლო საქმის განხილვაში მონაწილეობა მიეღო.

„არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 45.1(ბ.ბ) მუხლის თანახმად იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შეიძლება უარი ეთქვას. თუ სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მასალებით და თავად საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ მოპასუხემ არაერთხელ მიმართა სასამართლოს საქმის განხილვის შეწყვეტის მოთხოვნით. საარბიტრაჟო სასამართლომ კი, ამ შუამდგომლობაზე არ იმსჯელა მხოლოდ იმიტომ, რომ, მისი მტკიცებით, იგი დაყენებული უნდა ყოფილიყო არბიტრების დანიშვნამდე. საყურადღებოა, რომ საარბიტრაჟო სასამართლომ შპს „ჯ-ს“ „მ-ის“ საარბიტრაჟო სარჩელი 2013 წლის 4 ივლისს გამოუგზავნა და იმავე შეტყობინებით აცნობა მოსარჩელის მიერ არბიტრების დანიშვნის თაობაზე, რის პასუხადაც მოპასუხემ, რეგლამენტის შესაბამისად, საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა, როგროც უკვე აღინიშნა, სასამართლომ არ იმსჯელა ამ შუამდგომლობის საფუძვლიანობის თაობაზე იმ მიზეზით, რომ არბიტრების დანიშვნამდე არ იყო წარდგენილი, ანუ, პრაქტიკულად, სასამართლომ მოპასუხეს მოსთხოვა, რომ შუამდგომლობა დაეყენებინა მანამ, სანამ მისთვის საერთოდ ცნობილი გახდებოდა საარბიტრაჟო სარჩელის შეტანის თაობაზე, რაც ეწინააღმდეგება სალ აზრს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ ძირითად სამართლებრივ გარანტიებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძოსამართლებრივი დავების განხილვისას მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი პირის სასამართლოსთან ურთიერთობის ქვაკუთხედი და მისი კანონიერი ინტერესების დაცვის შესაძლებლობის უზრუნველყოფის გარანტი, მიუხედავად იმისა, დავას არბიტრაჟი განიხილავს თუ საერთო სასამართლოები. ამ

პრინციპის დარღვევით მიღებული გადაწყვეტილება კი, საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოდ უნდა იქნეს მიჩნეული.

მოცემულ შემთხვევაში, დავა განხილულია მხარის მონაწილეობის გარეშე, ისეთ პირობებში, როდესაც მას ობიექტურად არ შეეძლო საარბიტრაჟო საქმის განხილვის ადგილას გამოცხადება, გარდა ამისა, სასამართლომ არ იმსჯელა მხარის მიერ დაყენებულ შუამდგომლობებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ დარღვეულია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლო რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებას საქართველოს ტერიტორიაზე არ ცნობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. დს „მ-ის“ შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
2. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-2848-შ-87-2014

18 ნოემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატის

მოსამართლე: ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით G. L-C-ის დაეკისრა რუსეთის ფედერაციაში საჰაერო მიმოსვლის ორგანიზების სახელმწიფო კორპორაციის სასარგებლოდ 6911,65 რუსული რუბლისა და სახელმწიფო ბაჟის – 2000 რუსული რუბლის გადახდა.

რუსეთის ფედერაციაში საჰაერო მიმოსვლის ორგანიზების სახელმწიფო კორპორაციამ მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების მოთხოვნით მიმართა.

ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლე ე. რიპინამ „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების თაობაზე შუამდგომლობით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას მომართა.

### სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 22 სექტემბრის განჩინებით არ აკმაყოფილებს „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის

მოთხოვნებს შემდეგ გარემოებათა გამო: რუსეთის ფედერაციაში საჰაერო მიმოსვლის ორგანიზების სახელმწიფო კორპორაციას დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარმოედგინა:

იმ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და ექვემდებარება აღსრულებას;

დოკუმენტი, საიდანაც გამომდინარეობს, რომ მოპასუხე დროულად იქნა გამოძახებული სასამართლოში და ჩაბარდა სარჩელი თანდართული მასალებით;

შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები მოპასუხისათვის გადასაცემად.

შპს „სკს-ს“ აქტით დასტურდება, რომ ხარვეზის განჩინება შუამდგომლობის ავტორს 2014 წლის 10 ოქტომბერს ჩაბარდა.

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეებს, ასევე ასევე მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს, უფლება აქვთ თავისუფლად და დაუბრკოლებლივ მიმართონ სხვა ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოებს, პროკურატურას და სხვა დანესებულებებს, რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეები (შემდგომში – იუსტიციის დანესებულებები), შეუძლიათ გამოვიდნენ იქ, იშუამდგომლონ, წარადგინონ სარჩელები და განახორციელონ სხვა პროცესუალური ქმედებები იმავე პირობებით, რითაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის ნ3-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო უცხო ქვეყნის შუამდგომლობის ცნობისა და აღსრულების საკითხის გადაწყვეტის ყველა ეტაპზე საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობს ეროვნული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს საერ-

თო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით. იმავე კოდექსის მე-60 მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს, ან დროის მონაკვეთით. უკანასკნელ შემთხვევაში მოქმედება შეიძლება შესრულდეს დროის მთელი მონაკვეთის განმავლობაში. წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი, ხოლო 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, ვინაიდან ხარვეზის განჩინება მხარეს 10 ოქტომბერს ჩაბარდა, აღნიშნული ნორმების საფუძველზე, ხარვეზის შევსების ვადის ათვლა 11 ოქტომბრიდან დაიწყო და 20 ოქტომბერს ამოიწურა. რუსეთის ფედერაციაში საჰაერო მიმოსვლის ორგანიზების სახელმწიფო კორპორაციის განცხადებაზე დართული კონვერტით დასტურდება, რომ მასალები ფოსტას 22 ოქტომბერს, ანუ საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ ჩაბარდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ვინაიდან რუსეთის ფედერაციაში საჰაერო მიმოსვლის ორგანიზების სახელმწიფო კორპორაციამ ხარვეზი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ გამოასწორა მისი შუამდგომლობა განუხილველად უნდა დარჩეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 60-61, 63-ე მუხლებით და



## **დაადგინა:**

1. რუსეთის ფედერაციაში საჰაერო მიმოსვლის ორგანიზების სახელმწიფო კორპორაციისა და ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლე ე. რიაშინას შუამდგომლობა ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დარჩეს განუხილველად;

2. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-1272-შ-36-2014

31 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

უნგრეთის დუნაუივაროშის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დ. ს-სა და გ. ც-ს შორის 2004 წლის 28 ივნისს რეგისტრირებული და დიორის სამოქალაქო რეესტრის ნიგში 78/2004/5 ნომრით გატარებული ქორწინება შეწყდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა გ. ც-მ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაშია შესული 2010 წლის 15 ოქტომბრიდან.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატა გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თან-

დართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უნგრეთის დუნაუივაროშის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დ. ს-სა და გ. ც-ს შორის 2004 წლის 28 ივნისს რეგისტრირებული და დიორის სამოქალაქო რეესტრის ნიგნში 78/2004/5 ნომრით გატარებული ქორწინება შეწყდა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, უნგრეთის დუნაუივაროშის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. გ. ც-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე უნგრეთის დუნაუივაროშის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე დ. ს-სა და გ. ც-ს შორის 2004 წლის 28 ივნისს რეგისტრირებული და დიორის სამოქალაქო რეესტრის ნიგნში №78/2004/5 ნომრით გატარებული ქორწინება შეწყდა;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-2835-შ-86-2014

20 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

აშშ-ს ნიუ-იორკის შტატის უმაღლესი სასამართლოს 2011 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით თ. ა-სა და ე. ჭ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მომართა თ. ა-მ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ის გადაცემულია არქივისათვის და მხარეები მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

მხარემ ასევე წარმოადგინა ე. ჭ-ის განცხადება, რომელიც თ. ა-ის შუამდგომლობას გადაწყვეტილების ცნობის თაობაზე ეთანხმება.

### სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

იმავე კანონის 57-ე მუხლის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქეები და იურიდიული პირები, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირები სამოქალაქო პროცესში საქართველოს ტერიტო-

რიაზე სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი გარანტიებით, როგორც საქართველოს მოქალაქეები და იურიდიული პირები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული თავისი ან მოპასუხის მისამართი არასწორი აღმოჩნდა, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, თ. ა-ს შუამდგომლობის ნარმოებაში მირების შესახებ განჩინება გაეგზავნა მის მიერ მითითებულ მისამართზე, ქ. რუსთავი, კ-ის ქ. 20-8. გზავნილი სასამართლოს დაუბრუნდა აღნიშვნით, რომ ამ მისამართზე ცხოვრობს კ-ე, ა-ე არ ცხოვრობს. მოსამართლის თანაშემწის მიერ შედგენილი აქტით ასევე ირკვევა, რომ შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებული ტელეფონის ნომერი თ. მ-ს ეკუთვნის, რომელიც არ არის თ. ა-ის ოჯახის წევრი ან ადვოკატი, ამასთან თავად თ. ა-ე საქართველოში არ იმყოფება.

პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებული მისამართი არასწორია, თ. ა-ის შუამდგომლობა განუხილველად უნდა დარჩეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით.

ვინაიდან სასამართლოსათვის ცნობილი არ არის თ. ა-ის ალტერნატიული მისამართი ან სხვა საკონტაქტო მონაცემები, შუამდგომლობის ავტორისათვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით ვერ ხერხდება, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარისათვის განჩინების ჩაბარება საჯარო შეტყობინების ვერ-გვერდზე განთავსების გზით უნდა განხორციელდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე გან-

თავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე, 58-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 71-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. ა-ის შუამდგომლობა აშშ-ს ნიუ-იორკის შტატის უმაღლესი სასამართლოს 2011 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დარჩეს განუხილველად;
2. განჩინება გაერცელდეს საჯაროდ და განთავსდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge);
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**განჩინება**

№ა-1331-შ-39-2014

26 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

მოსამართლე: ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** განქორწინება

**აღწერილობითი ნაწილი:**

საბერძნეთის ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2000 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით ა. დ-ის მიმართ გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა მის დაუსწრებლად და ჯარიმის სახით დაეკისრა 60000 დრახმის გადახდა ა. პ-ის სასარგებლოდ, სასამართლომ საქართველოში, ქ.თბილისში 1997 წლის 8 თებერვალს ა. დ-სა და ა. პ-ს შორის შემდგარი ქორწინება გამოაცხადა გაუქმებულად, მოპასუხეს-

ვე დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯის – 85000 დრახმის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ა. დ-ის წარმომადგენელმა თ. გ-ემ განქორწინების თაობაზე ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მოთხოვნით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას, თანდართულ მასალებს და მიიჩნევს, რომ იგი განუხილველად უნდა იქნას დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხოლო 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეული საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამდენად, საკასაციო სასამართლო უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის თაობაზე წარდგენილი შუამდგომლობის განხილვისას საპროცესო საკითხებს წყვეტს ეროვნული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე და 372-ე მუხლების შესაბამისად, საკასაციო სასამართლო საქმის წარმოებისას ხელმძღვანელობს ქვემდგომი სასამართლოებისათვის დადგენილი წესების შესაბამისად, საგამონაკლისო ნორმათა თავისებურების გათვალისწინებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით განსაზღვრულია ის სავალდებულო წინაპირობები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს სარჩელი (შუამდგომლობა), რათა სასამართლომ მხარეს მის განსახილველად მიღებაზე უარი არ უთხრას. დასახელებული ნორმის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ერთ-ერთ სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს ასევე მოპასუხის (მოწინააღმდეგე მხარის) ზუსტი მისამართის მითითება.

განსახილველ შემთხვევაში ა.დ-მა მომართა რა სასამართლოს შუამდგომლობით, არც თავად შუამდგომლობა და არც მასზე დართული მასალები არ შეიცავს ზუსტ მითითებას შუამდგომლობის ავტორის მოწინააღმდეგე მხარის – ა. პ-ს ზუსტი მისამართის თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არსებობს მოსარჩელის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი გადახდის გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების საფუძველი, ხოლო ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის „ე“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველებით მოსამართლის მიერ სარჩელის მიღებაზე უარის თქმა ხელს არ უშლის პირს, განმეორებით მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით, თუ აცილებული იქნება დაშვებული დარღვევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. დ-ის შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს (მონინააღმდეგე მხარის მისამართის მიუთითებლობის გამო), რაც გამორიცხავს შუამდგომლობის წარმოებაში მიღების შესაძლებლობას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-63, 68-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე, 186-ე, 187-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ა. დ-ის წარმომადგენელ თ. გ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2000 წლის 18 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დარჩეს განუხილველად.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანჩინება

№ა-1722-შ-51-2014

2 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** შვილებთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა

### აღწერილობითი ნაწილი:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს იასამალის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით ე. შ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს მიენიჭა თავის არასრულწლოვან შვილებთან 03.09.2002 წელს დაბადებულ ჯ. შ-ია ე. კ-სთან, 15.06.2004 წელს დაბადებულ მ. შ-ა ე. კ-სთან, 11.06.2005 წელს დაბადებულ ჯ. გ. შ-ია ე. კ-სთან და 11.06.2009 წელს დაბადებულ შ-ია ნ. ე. კ-სთან ურთიერთობის უფლება, ურთიერთობის წესი განისაზღვრა შემდეგნაირად: თვეში 8-ჯერ, შაბათს 18:00 საათიდან 22:00 საათამდე და კვირას 10:00 საათიდან 22:00 საათამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ე. შ-იმ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2014 წლის 28 აპრილს, მოპასუხეს ეცნობა საქმის განხილვის თაობაზე, გადაწყვეტილება არ აღსრულებულა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს იასამალის რაიონული



სასამართლოს 2014 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით ე. შ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს მიენიჭა თავის არასრულწლოვან შვილებთან 03.09.2002 წელს დაბადებულ ჯ. შ-ია ე. კ-თან, 15.06.2004 წელს დაბადებულ მ. შ-ა ე. კ-სთან, 11.06.2005 წელს დაბადებულ ჯ. გ. შ-ია ე. კ-სთან და 11.06.2009 წელს დაბადებულ შ-ია ნ. ე. კ-სთან ურთიერთობის უფლება, ურთიერთობის წესი განისაზღვრა შემდეგნაირად: თვეში 8-ჯერ, შაბათს 18:00 საათიდან 22:00 საათამდე და კვირას 10:00 საათიდან 22:00 საათამდე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმავე მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი გამონაკლისებისა.

იმავე კანონის 70-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მიხედვით, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას. აღსრულებაზე გადაწყვეტილება მიიღება დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ.

პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი გადაწყვეტილების ცნობის დამაბრკოლებელი გარემოებები, ამასთან ქ. ბაქოს იასამალის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას და მხარეს აღძრული აქვს შესაბამისი შუამდგომლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ ქ. ბაქოს იასამალის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. შ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს იასამალის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც ე. შ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს მიენიჭა თავის არასრულწლოვან შვილებთან 03.09.2002 წელს დაბადებულ ჯ. შ-ია ე. კ-სთან, 15.06.2004 წელს დაბადებულ მ. შ-ა ე. კ-სთან, 11.06.2005 წელს დაბადებულ ჯ. გ. შ-ია ე. კ-სთან და 11.06.2009 წელს დაბადებულ შ-ია ნ. ე. კ-სთან ურთიერთობის უფლება, ურთიერთობის წესი განისაზღვრა შემდეგნაირად: თვეში 8-ჯერ, შაბათს 18:00 საათიდან 22:00 საათამდე და კვირას 10:00 საათიდან 22:00 საათამდე, ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-3338-შ-89-2013 5 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**მოსამართლე: ვ. როინიშვილი**

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს „ე-III“-ის შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ინდ. მენარმე ფ. შ-ის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

### **პალატამ გამოარკვია:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ე-III“-ის შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველად შემ-

დეგ გარემოებათა გამო:

„უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების კონვენციის“ მე-3 მუხლის თანახმად, ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს ცნობს როგორც სავალდებულოს და აღსრულებს მათ იმ ტერიტორიის პროცესუალური ნორმებით, სადაც მოითხოვება ამ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, ქვემოჩამოთვლილ მუხლებში ჩამოყალიბებული პირობებით.

დასახელებული ნორმით გათვალისწინებულია კონვენციაზე ხელმომწერი სახელმწიფოს ვალდებულება, საქმის განხილვისას იხელმძღვანელოს კონვენციით დადგენილი ნორმების შესაბამისად, თუმცა ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების განხორციელებისას გამოიყენება საქმის განმხილველი სასამართლოს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო ნორმები.

განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 ნოემბრის განჩინებით მოცემულ შუამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის ქვეთრის დედნის წარმოსადგენად განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადა მიეცა. ხარვეზის დადგენის შესახებ საკასაციო სასამართლოს 2013 წლის 4 ნოემბრის განჩინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით გაეგზავნა შპს „ე-III“-ს მის მიერ საქმეში მითითებულ მისამართზე და შპს „საქართველოს ფოსტის“ მომართვის თანახმად, გზავნილი ადრესატს ჩაბარდა 2013 წლის 28 ნოემბერს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. სასამართლო შეტყობინების ადრესატისათვის ჩაბარება სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო ვადის დენის დაწყების საფუძველს წარმოადგენს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ საპროცესო ვადა კანონით არ არის დადგენილი, მას განსაზღვრავს სასამართლო. 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. ამდენად, დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, მხარე კანონ-

ნით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში ვალდებულია, განახორციელოს მისთვის დაკისრებული მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარემ დაკარგა ინტერესი დავის მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თვეებით გამოსათვლელი ვადა გასულად ჩაითვლება ვადის უკანასკნელი თვის შესაბამის თვესა და რიცხვში. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

დასახელებული ნორმების თანახმად, ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ათდღიანი ვადის დენა დაიწყო 2013 წლის 29 ნოემბერს და ამოიწურა 2013 წლის 9 დეკემბერს (8 დეკემბერი იყო დასვენების დღე). სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში შპს „ე-III“-ს ხარვეზი არ გამოუხსნორებია და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს სასამართლოსათვის, რაც შუამდგომლობის განუხილველად დატოვების საფუძველია.

რაც შეეხება, შპს „ე-III“-ის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით 485.61 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის წარმოდგენას, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ვადა ამოიწურა 2013 წლის 9 დეკემბერს, ხოლო ბაჟის გადახდის ქვითარი კი შუამდგომლობის ავტორმა სასამართლოში წარმოადგინა 2013 წლის 12 დეკემბერს (იხ. საქართველოს უზენაეს სასამართლოში შპს „ე-III“-ის მიერ წარმოდგენილ განცხადებაზე დასმული სარეგისტრაციო შტამპი), როცა ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ათდღიანი ვადა უკვე გასული იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ შპს „ე-III“-ის შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „უცხოეთის სა-

არბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების კონ-  
ვენციის“ მე-3 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცე-  
სო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ე-III“-ის შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწ-  
ველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული სა-  
არბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის გადაწყვე-  
ტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულე-  
ბის შესახებ დარჩეს განუხილველად;

2. შპს „ე-III“-ს სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სა-  
ხელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარი-  
შის №200122900, სახაზინო კოდი 300773150) დაუბრუნდეს 2013  
წლის 12 დეკემბერს ო. ბ-ის მიერ №328979537 საგადახდო და-  
ვალეებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 485.61 ლარი.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივ-  
რდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა**

№ა-3616-შ-100-2014

13 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

კომანდიტურმა ამხანაგობამ „ბ-მა“ (B.) სარჩელი აღძრა სა-  
არბიტრაჟო სასამართლოში შპს „T.-ის“ მიმართ 916268 რუბლი-  
სა და 80 კაპიკის ოდენობით დავალიანებისა და 121863 რუბლი-  
სა და 91 კაპიკის ოდენობით საურავის გადახდევინების შესა-  
ხებ, რუსეთის ფედერაციის საარბიტრაჟო საპროცესო კოდექ-

სის 49-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნების მოცულობის გათვალისწინებით.

ქალაქ სანქტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „T.-“ის კომანდიტური ამხანაგობა „ბ-ის“ (B.) სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების გადახდა 916268 რუბლისა და 80 კაპიკის, საურავის გადახდა 121863 რუბლისა და 91 კაპიკის და სახელმწიფო ბაჟის ხარჯების გადახდა 22241 რუბლისა და 64 კაპიკის ოდენობით. ამავე გადაწყვეტილებით შპს „T.-“ს ფედერალური ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 1139 რუბლისა და 68 კაპიკის ოდენობით.

კომანდიტურმა ამხანაგობა „ბ-მა“ (B.) საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობით მოითხოვა ქალაქ სანქტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება თანხის დაკისრების თაობაზე.

შუამდგომლობაზე დართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ქალაქ სანქტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილების გამოტანამდე საქმის წარმოების თაობაზე გაფრთხილებული იყო მოპასუხე შპს „T.“, მას ჩაბარდა საქმის მასალები ქ. თბილისში, ... გამზ. მე-7 კვარტალი, კორპუსი 14, ბ. 33-ში, 2014 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და მისი აღსრულება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ვერ განხორციელდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ნოემბრის განჩინებით კომანდიტური ამხანაგობა „ბ-ის“ (B.) შუამდგომლობა წარმოებაში იქნა მიღებული.

ზემოაღნიშნული განჩინების, შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები მოპასუხე შპს „T.“-ს, გაეგზავნა 2014 წლის 8 დეკემბერს და ჩაბარდა 2015 წლის 29 იანვარს, თუმცა მას განჩინებით განსაზღვრულ ვადაში აღნიშნულ შუამდგომლობაზე აზრი არ გამოუთქვამს, ასევე, არ მოუთხოვია საქმის ზეპირი განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს და მივიდა დასკვნამდე, რომ კომანდიტური ამხანაგობა „ბ-ის“ (B.) შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, ქალაქ სანქტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის

ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება ცნობილ იქნას და აღსასრულებლად მიექცეს საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ქალაქ სანქტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „T.-“ის კომანდიტური ამხანაგობა „ბ-ის“ (B.) სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების გადახდა 916268 რუბლისა და 80 კაპიკის, საურავის გადახდა 121863 რუბლისა და 91 კაპიკის და სახელმწიფო ბაჟის ხარჯების გადახდა 22241 რუბლისა და 64 კაპიკის ოდენობით. ამავე გადაწყვეტილებით შპს „T.-ს“ ფედერალური ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 1139 რუბლისა და 68 კაპიკის ოდენობით.

შუამდგომლობაზე დართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ქალაქ სანქტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილების გამოტანამდე საქმის წარმოების თაობაზე გაფრთხილებული იყო მოპასუხე შპს „T.“, მას ჩაბარდა საქმის მასალები კომპანიის იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისში, ... გამზ. მე-7 კვარტალი, კორპუსი 14, ბ. 33-ში, 2014 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და მისი აღსრულება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ განხორციელდა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია 68-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სასამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი

დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, ქალაქ სანქტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. კომანდიტური ამხანაგობა „ბ-ის“ (B.) შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და დაექვემდებაროს აღსრულებას ქალაქ სანქტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც: შპს „T.-ის“ კომანდიტური ამხანაგობა „ბ-ის“ (B.) სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების გადახდა 916268 რუბლისა და 80 კაპიკის, საურავის გადახდა 121863 რუბლისა და 91 კაპიკის და სახელმწიფო ბაჟის ხარჯების გადახდა 22241 რუბლისა და 64 კაპიკის ოდენობით. აგრეთვე შპს „T.-ს“ რუსეთის ფედერაციის ფედერალური ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 1139 რუბლისა და 68 კაპიკის ოდენობით;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანჩინება

№ა-3976-შ-102-2013

20 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება, სასამართლო ხარჯე-  
ბის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

ბელორუსიის ქ. ბრესტის სასამართლოს 2012 წლის 28 მაი-  
სის გადაწყვეტილებით გ. ფ-ს ნ. ა-იას სასარგებლოდ დაეკისრა  
არასრულწლოვანი შვილის – ი. ფ-ის შენახვისათვის ალიმენტის  
– ყოველგვარი შემოსავლის 25%-ის, მაგრამ არანაკლებს საშუ-  
ალო საარსებო მინიმუმის 50%-ის გადახდა 2011 წლის 2 თებერ-  
ვლიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. მასვე დაეკისრა სახელ-  
მწიფო ბაჟის 485840 მანეთისა და საქმის განხილვასთან დაკავ-  
შირებული ხარჯების – 8400 მანეთის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომარ-  
ტეს ნ. გ-ამ (ა-იამ) და ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. ბრესტის  
მოსკოვის რაიონის სასამართლოს მოსამართლე ლ. კ-მ შემო-  
აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე  
ცნობა-აღსრულების მოთხოვნით.

განცხადებაზე თანდართული მასალებით დასტურდება, რომ  
გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 8 ივნისს,  
ბელორუსიის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა და გ. ფ-ი ინ-  
ფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამ-  
დგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამ-  
დე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს  
შემდეგ გარემოებათა გამო:

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებ-  
ზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთი-

ერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება. იგი ასევე შეიძლება წარედგინოს სასამართლოში, სადაც გამოტანილ იქნა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. ეს სასამართლო შუამდგომლობას გადასცემს სასამართლოს, რომელიც კომპეტენტურია გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ შუამდგომლობაზე.

იმავე კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვისა და აღიარების თაობაზე, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული კონვენციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და არც კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არსებობს.

კონვენციის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით იძულებითი აღსრულების წესი განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე, 54-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. გ-ა (ა-იასა) და ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. ბრესტის მოსკოვის რაიონის სასამართლოს მოსამართლე ლ. კ-ს შუამდგომლობები დაკმაყოფილდეს;
2. ბელორუსიის ქ. ბრესტის მოსკოვის რაიონის სასამართლოს

2012 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-3984-შ-103-2013

17 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

რუსეთის ფედერაციის სანკტ-პეტერბურგის №94 სასამართლოს დაწესებულების მომრიგებელი მოსამართლის 2012 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით გ. კ-ეს დსს სადაზღვევო კომპანია „ოცდამეერთე საუკუნის“ სასარგებლოდ რეგრესის წესით დაეკისრა ავტომობილის აღდგენითი სარემონტო სამუშაოების ხარჯის 10624 რუბლის და სახელმწიფო ბაჟის – 424,96 რუბლის ანაზღაურება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მომართა დსს სადაზღვევო კომპანია „...“ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

განცხადების ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება 2012 წლის 30 ოქტომბერს შევიდა კანონიერ ძალაში, არ აღსრულებულა რუსეთის ტერიტორიაზე, გადაწყვეტილებაში ასევე მითითებულია, რომ მოპასუხე საქმის განხილვას არ ესწრებოდა, თუმცა სასამართლო უწყება გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამ-

დგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ 68.2 მუხლის თანახმად გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მოპასუხე საქმის განხილვას არ ესწრებოდა, თუმცა სასამართლო უწყება გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით.

შუამდგომლობაზე თანდართულ მასალებში წარმოდგენილი არ არის დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ გ. კ-ეს სასამართლო უწყება ჩაბარებული აქვს, ამასთან, გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მოპასუხეს სხდომის შესახებ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის შესაბამისად ეცნობა.

საკასაციო სასამართლო გაეცნო რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 113-120 მუხლებს, რომლებიც სასამართლო შეტყობინება-დაბარების საკითხებს აწესრიგებს და მივიდა დასკვნამდე, რომ აღნიშნული ნორმების საფუძველზე, თუ სასამართლოსათვის ცნობილ მისამართზე ერთხელ გაგზავნილი უწყება ადრესატს არ ბარდება, სასამართლოს არ აქვს ვალდებულება, უწყება განმეორებით გააგზავნონ იმავე ან ალტერნატიულ მისამართზე ან მიიღოს რაიმე სხვა ზომები მხარის ინფორმირებისათვის, შესაბამისად, „კანონით დადგენილი წესით მხარის ინფორმირება“ ამ შემთხვევაში, გულისხმობს, უწყების ერთხელ გაგზავნას სასამართლოსათვის ცნობილ ბოლო მისამართზე და თუნდაც მხარეს უწყება არ ჩაბარდეს, სასამართლოს შეუძლია საქმის განხილვას შეუდგეს (იხ. რფსსკ-ის 119-ე მუხლი), კანონით დადგენილი ამგვარი სტანდარტის პირობებში, როდესაც შუამდგომლობაზე დართული მასალებით არ დასტურდება, რომ მოპასუხემ სასამართლო დოკუმენტი ნამდვილად ჩაიბარა, ან სასამართლომ ერთჯერადად გაგზავნის გარდა რაიმე სხვა ზომა მიიღო მოპასუხის სხდომაზე დასაბარებლად, საკასაციო სასამართლო ვერ მიიჩნევს, რომ საქმის განხილვის დროს მხარის კანონიერი ინტერესები დაცული იყო, მართალია, სასამართლომ ამონურა რფსსკ-ის შესაბამისად მასზე დაკისრებული მინიმალური ვალდებულება, მაგრამ ასეთ პირობებში საქმის მოპასუხის დასწრების გარეშე განხილვა ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ მხარეთა დაცვის სტანდარტებს, სა-

პირისპირო კი, წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძოსამართლებრივი დავების განხილვისას მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი პირის სასამართლოსთან ურთიერთობის ქვაკუთხედი და მისი კანონიერი ინტერესების დაცვის შესაძლებლობის უზრუნველყოფის გარანტი. ამ პრინციპის დარღვევით მიღებული გადაწყვეტილება კი, საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოდ უნდა იქნეს მიჩნეული.

მოცემულ შემთხვევაში, დავა განხილულია მხარის მონაწილეობის გარეშე, ისეთ პირობებში, როდესაც გაურკვეველია, მან სასამართლო უწყება მიიღო თუ არა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციის სანკტ-პეტერბურგის №94 მომრიგებელი სასამართლოს დაწესებულების 2012 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა ვერ მოხდება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. დსს სადაზღვევო კომპანია „...“ შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის სანკტ-პეტერბურგის №94 სასამართლოს დაწესებულების მომრიგებელი მოსამართლის 2012 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

2. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანრინება

№ა-631-შ-19-2014

23 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ს-“ დაეკისრა რუსეთის ფედერაციაში საჭაერო მიმოსვლის ორგანიზების სახელმწიფო კორპორაციის სასარგებლოდ 59821,30 რუსული რუბლისა და სახელმწიფო ბაჟის – 2392,85 რუსული რუბლის გადახდა.

რუსეთის ფედერაციაში საჭაერო მიმოსვლის ორგანიზების სახელმწიფო კორპორაციამ მოსკოვის საქართველოს უზენაეს სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების ცნობისა და იძულებით აღსრულების მოთხოვნით მიმართა.

შუამდგომლობით და თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, არ აღსრულებულა და მოპასუხეს ეცნობა საქმის განხილვის თაობაზე.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკაცაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება. იგი ასევე შეიძლება

წარედგინოს სასამართლოში, სადაც გამოტანილ იქნა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. ეს სასამართლო შუამდგომლობას გადასცემს სასამართლოს, რომელიც კომპეტენტურია გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ შუამდგომლობაზე.

იმავე კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვისა და აღიარების თაობაზე, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული კონვენციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და არც კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არსებობს.

კონვენციის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით იძულებითი აღსრულების წესი განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე, 54-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. რუსეთის ფედერაციაში საჰაერო მიმოსვლის ორგანიზების სახელმწიფო კორპორაციის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის №ა40-122667/2012 გადაწყვეტილება და მიექცეს აღსასრულებლად;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანკინება

№ა-693-შ-19-2012

27 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიჭვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

ჩესკე ბუდეიოვიცეს საოლქო სასამართლოს 2009 წლის 19 ოქტომბრის დადგენილებით მსჯავრდებულ ლ. გ-ს დაეკისრა სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯის – 6 000 ჩეხური კრონის ანაზღაურება დადგენილების მიღებიდან 15 დღის ვადაში, ამავე სასამართლოს 2010 წლის 12 ნოემბრის დადგენილების თანახმად კი, სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა ადვოკატის მომსახურების ხარჯის 340,226 ჩეხური კრონის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ჩეხეთის რესპუბლიკის ჩესკე ბუდეიოვიცეს საოლქო სასამართლომ და მოითხოვა ზემოაღნიშნული დადგენილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება, კერძოდ, დაკისრებული თანხის ანაზღაურების მიზნით მოწინააღმდეგე მხარის მატერიალური ღირებულების მქონე ქონების გაყიდვა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით დასტურდება, რომ ჩესკე ბუდეიოვიცეს საოლქო სასამართლოს 2009 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 19 ოქტომბერს, ხოლო 2010 წლის 12 ნოემბრის დადგენილება – 2010 წლის 23 ნოემბერს, ასევე ირკვევა, რომ დადგენილებები მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა. დადასტურებულია, რომ ლ. გ-ია საქმის განხილვის თაობაზე სათანადოდ იყო ინფორმირებული, ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი სამისამართო ამონაწერის თანახმად, მოწინააღმდეგე მხარე ლ. გ-ია საქართველოს მოქალაქეა.



### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, ჩეხეთის რესპუბლიკის ჩესკე ბუდეიოვიცეს საოლქო სასამართლოს შუამდგომლობა ამავე სასამართლოს 2009 წლის 19 ოქტომბრისა და 2010 წლის 12 ნოემბრის დადგენილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებებს გამო:

უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ და მე-2 მუხლებზე, რომლებითაც განსაზღვრულია, როგორც ამ კანონის მოქმედების სფერო, ისე მისი იურიდიული ძალა საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან მიმართებით. კანონის პირველი მუხლის თანახმად, იგი განსაზღვრავს, თუ რომელი სამართლებრივი წესრიგი გამოიყენება უცხო ქვეყნის სამართალთან დაკავშირებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, აგრეთვე საპროცესო სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც გამოიყენება ასეთი საქმის წარმოებისას, თავის მხრივ, კანონის მე-2 მუხლით აღიარებულია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ წესებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით.

კანონის ეს დებულება გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციითა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით განმტკიცებული კანონის იერარქიის პრინციპიდან.

მითითებული ნორმების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას სასამართლო უპირველესად ამოწმებს არსებობს თუ არა ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს და იმ უცხო ქვეყანას შორის, რომლის იუსტიციის კომპეტენტური დანესებულების მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც უნდა მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მონმდება ეროვნული მატერიალური და საპროცესო ნორმების შესაბამისობა საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებასთან და სწორედ ამის შემგომ მიიღება გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა თუ მასზე უარის თქმის თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ საქართველოს არ აქვს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულება, საქ-

მის განმხილველი სასამართლო ადგენს შუამდგომლობის აღმძვრელი პირის მოთხოვნის შესაბამისობას ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ მართლწესრიგთან.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის მეშვეობით გადმოეცა ჩეხეთის რესპუბლიკის ჩესკე ბუდეიოვიცეს საოლქო სასამართლოს შუამდგომლობა, სისხლის სამართლის საქმის წარმოების გამო, ჩეხეთის რესპუბლიკის მიერ განეული ხარჯების საქართველოს მოქალაქისათვის დაკისრების თაობაზე. მომართვის თანახმად, შუამდგომლობა საკასაციო სასამართლოს გადმოეცა „სამოქალაქო საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე იურიდიული დახმარების შესახებ“ სსრკ-სა და ჩეხოსლოვაკიას შორის 1982 წლის 12 აგვისტოს დადებული ხელშეკრულების, ასევე „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, უცხო ქვეყნის შუამდგომლობის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ წერილობით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელთა პასუხადაც საკასაციო სასამართლოს ეცნობა, რომ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, საქართველო დარჩენილიყო ზემოხსენებული ხელშეკრულების სამართალმემკვიდრედ, მანამ, სანამ ქვეყანა შეუერთდება სამოქალაქო საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ ჰააგის კონვენციას.

საკასაციო პალატა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღნიშნული წერილის შეფასებით მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება სამართლებრივი დახმარების თაობაზე არ არსებობს, ასეთ ვითარებაში კი, უნდა შემოწმდეს, ეროვნული კანონმდებლობა იძლევა თუ არა შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველს.

განსახილველ შემთხვევაში, შუამდგომლობის ავტორის იურიდიული ინტერესს ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს მოქალაქის მიმართ ნაწარმოები სისხლის სამართლის საქმეზე განეული ხარჯების ანაზღაურება წარმოადგენს, სწორედ ამ მიზნით ითხოვა მან ჩესკე ბუდეიოვიცეს საოლქო სასამართლოს დადგენილებათა საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსასრულებლად მიქცევა.

საკასაციო პალატა მიუთითებს „საერთაშორისო კერძო სა-

მართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლზე, რომელითაც რეგულირებულია უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის საკითხი, ხოლო აღსასრულებლად მიქცევის წესი და პირობები, განსაზღვრულია ამავე კანონის 70-ე მუხლით, რომლის პირველი პუნქტი აღსრულებას დაქვემდებარებულ გადაწყვეტილებად მიიჩნევს სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე გამოტანილ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებს. ნორმის ეს პირობა კი, განსახილველ შემთხვევაში, სახეზე არაა, რამდენადაც დადგენილებები, რომელთა აღსასრულებლად მიქცევაც მხარეს სურს, გამოტანილია სისხლის სამართლის საქმეზე. საკასაციო პალატის შეფასებით, ის გარემოება, რომ შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილებები საქართველოში მოქმედი სამართლის ნორმების შესაბამისად, არ ექვემდებარება აღსასრულებლად მიქცევას, საფუძველს აცლის მხარის იმ მოთხოვნის დაკმაყოფილებასაც, რომელიც ამ დადგენილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას შეეხება, რამდენადაც მხოლოდ გადაწყვეტილებების (დადგენილებების) ცნობით შუამდგომლობის ავტორის იურიდიული ინტერესი დავის მიმართ ვერ დაკმაყოფილდება.

ამ თვალსაზრისით საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე: ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც შეეხებოდა უკრაინის სასამართლოს განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას (განაჩენის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას განეული ხარჯის ანაზღაურება დაეკისრა საქართველოს მოქალაქეს, რომლის სანინააღმდეგოდაც დასრულდა სასამართლო პროცესი), საკასაციო სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიუთითა უკრაინასა და საქართველოს შორის არსებულ მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებაზე, რომლიც განაჩენის აღსასრულებლად მიქცევას მხოლოდ სამოქალაქო სარჩელის ნაწილში ითვალისწინებდა, ხოლო ეროვნულ კანონმდებლობასთან განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის მართლზომიერების შემოწმებით პალატამ დაადგინა, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს სამართლებრივ პრინციპებს (იხ. სუსგ №ა-415-შ-28-07, 30 აპრილი, 2007 წელი).

საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი დაუშვებლად მიიჩნევს საქართველოში უცხო ქვეყნის სამართლის იმ ნორმების გამოყენებას, რომლებიც ეწინააღმდე-

გება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. ამავე კანონის 64-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით იმპერატიულადაა დადგენილი სამართლებრივ დახმარებაზე უარის თქმა, თუ შუამდგომლობის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, ხოლო 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სწორედ ამავე საფუძვლით არ ხდება გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ამ აკრძალვების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს რამდენიმე გარემოებაზეც:

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით დასტურდება, რომ ლ. გ-ია დამნაშავედ იქნა ცნობილი ძარცვის ჩადენაში;

2009 წლის 19 ოქტომბრის დადგენილების თანახმად, ლ. გ-იასათვის სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის 6 000 ჩეხური კრონის დაკისრების საფუძველი მის ბრალდებულად ცნობაა;

2010 წლის 12 ნოემბრის დადგენილების თანახმად კი, სისხლის სამართლის საქმის წარმოების პერიოდში ბრალდებულს, კანონის თანახმად, უნდა ჰყოლოდა დამცველი, მაგრამ იგი თვითონ არ აირჩია და მას დაენიშნა ადვოკატი, რომელსაც სახელმწიფომ მისცა კომპენსაცია;

კომპენსაციის გადახდა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ არ არსებობდა უფასო დაცვა ან დაცვის დაბალი ტარიფი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სავალდებულო დაცვის ინსტიტუტს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლი კი, ამომწურავად განსაზღვრავს იმ შემთხვევათა წრეს, როდესაც დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე ხორციელდება. დასახელებული ნორმის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაცვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს, თუ არსებობს ამ კოდექსით დადგენილი სავალდებულო დაცვის შემთხვევა და სისხლის სამართლის საქმეში არ მონაწილეობს ბრალდებულის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით). უფრო მეტიც, ნორმის მე-4 ნაწილი გვთავაზობს შემდეგ რეგულაციას: დაცვის სახელმწიფოს ხარჯზე განხორციელების შემთხვევაში სახელმწიფო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიღებს დაცვისათვის საჭირო სხვა ხარჯებსაც, თუ ეს ხარჯები პირდაპირაა დაკავშირებული ბრალდებულის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებასთან.

საყურადღებოა, რომ საპროცესო კანონმდებლობა 90-ე მუხლში იძლევა საპროცესო ხარჯების ცნებას, ასევე გათვალისწინებულია მათი ანაზღაურების წესი, თუმცა 91-ე მუხლის პირველი ნაწილით, ადვოკატის მომსახურებასთან მიმართებით კანონი ითვალისწინებს შემდეგს: ბრალდებულის ადვოკატის მომსახურების ხარჯს ანაზღაურებს უშუალოდ ბრალდებული, ხოლო თუ დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე ხორციელდება – სახელმწიფო ბიუჯეტი. ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ამ ნორმათა შეფასებით, საკასაციო პალატა მიდის დასკვნამდე, რომ ჩესკე ბუდეიოვიცეს საოლქო სასამართლოს 2010 წლის 12 ნოემბრის დადგენილება ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ სამართლებრივ პრინციპებს, რაც ასევე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ჩეხეთის რესპუბლიკის ჩესკე ბუდეიოვიცეს საოლქო (სამხარეო) სასამართლოს შუამდგომლობა ამავე სასამართლოს 2009 წლის 19 ოქტომბრისა და 2010 წლის 12 ნოემბრის დადგენილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
2. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**ბანკინება**

№ა-456-შ-9-2015

30 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო  
კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 21 თე-  
ბერვლის გადაწყვეტილებით (საქმე AC № 3457/2013):

1. შპს „ბ-ს“ (6007, საქართველო, ბათუმი, ... ქ. №65) საჯარო  
სააქციო საზოგადოება „პ-ს“ (36008 უკრაინა, ქ. პლტავა, ... ქ.  
№158) სასარგებლოდ დაეკისრა ჯამში 21 881.82 აშშ დოლარის  
ანაზღაურება, აქედან, 19 816.46 აშშ დოლარი – მიწოდებული  
საქონლის საფასურის ანაზღაურებისთვის და 2 065.36 აშშ დო-  
ლარი – საარბიტრაჟო გადასახადზე განეული ხარჯის ანაზღა-  
ურებისთვის.

2. ამავე გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა 7  
312.27 აშშ დოლარის ოდენობით მოთხოვნის ნაწილში, ხოლო სა-  
არბიტრაჟო გადასახადის სახით გადახდილი თანხის – 762.36  
აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელეს.

3. დადგინდა, რომ გადაწყვეტილება საბოლოოა და დაუყოფ-  
ნებლივ აღსრულებას ექვემდებარება.

საჯარო სააქციო საზოგადოება „პ-მ“ შუამდგომლობით მო-  
მართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზე-  
მოითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორი-  
აზე ცნობა და აღსრულება იმ ნაწილში, რომლითაც შპს „ბ-ს“  
(6007, საქართველო, ბათუმი, ... ქ. №65) საჯარო სააქციო საზო-  
გადოება „პ-ს“ (36008 უკრაინა, ქ. პლტავა, ... ქ. №158) სასარგებ-  
ლოდ დაეკისრა ჯამში 21 881.82 აშშ დოლარის ანაზღაურება,  
აქედან, 19 816.46 აშშ დოლარი – მიწოდებული საქონლის საფა-  
სურის ანაზღაურებისთვის და 2 065.36 აშშ დოლარი – საარბიტ-  
რაჟო გადასახადზე განეული ხარჯის ანაზღაურებისთვის.

ამავდროულად, შუამდგომლობის ავტორმა ითხოვა, რომ სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლიდან გამომდინა-  
რე, შპს „ბ-ს“ მის სასარგებლოდ დაეკისროს:

საჯარო სააქციო საზოგადოება „პ-ს“ მიერ შუამდგომლობა-  
ზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 656.5 აშშ დოლარის ოდენო-  
ბით და

მითითებული შუამდგომლობის წარმოებაზე ადვოკატის დახ-  
მარების გამო განეული ხარჯი 1000 აშშ დოლარის ოდენობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2015 წლის 26 თებერვლის განჩინებით საჯარო სა-  
აქციო საზოგადოება „პ-ს“ დაევალა აღნიშნული განჩინების ჩა-  
ბარებიდან 10 დღის ვადაში წარმოედგინა დამოწმებული ცნო-  
ბა იმის შესახებ, რომ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალა-  
ტის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს  
2014 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილების აღსრულება არ  
მომხდარა ამ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონ-  
მდებლობის შესაბამისად.

2015 წლის 4 მარტს საჯარო სააქციო საზოგადოება „პ-მ“ უზე-  
ნაეს სასამართლოში წარმოადგინა განცხადება ხარვეზის შევ-  
სების შესახებ, რომელსაც თან დაურთო უკრაინის სავაჭრო-  
სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტ-  
რაჟო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის ნერილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2015 წლის 5 მარტის განჩინებით საჯარო სააქციო  
საზოგადოება „პ-ს“ შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოება-  
ში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩ-  
ნევს, რომ საჯარო სააქციო საზოგადოება „პ-ს“ შუამდგომლო-  
ბა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის  
საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014  
წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე AC № 345/2013):

შპს „ბ-ს“ (6007, საქართველო, ბათუმი, ... ქ. 65) საჯარო სააქ-  
ციო საზოგადოება „პ-ის“ (36008 უკრაინა, ქ.პლტავა, ... ქ. 158)  
სასარგებლოდ დაეკისრა ჯამში 21 881.82 აშშ დოლარის ანაზ-  
ღაურება, აქედან, 19 816.46 აშშ დოლარი – მიწოდებული სა-  
ქონლის საფასურის ანაზღაურებისთვის და 2 065.36 აშშ დოლა-  
რი – საარბიტრაჟო გადასახადზე განეული ხარჯის ანაზღაურე-  
ბისთვის.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 73<sup>1</sup> მუხლის თანახმად, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით. საქართველოში გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის მიზნებისათვის უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება სააპელაციო სასამართლოები, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით – საქართველოს უზენაესი სასამართლო.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული დამატარკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე ACN<sup>o</sup>345/2013), საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

ამავდროულად, არსებობს დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, მოცემული თვალსაზრისით შუამდგომლობა ასევე აკმაყოფილებს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ უნდა იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე ACN<sup>o</sup>345/2013) იმ ნაწილში, რომლითაც: შპს „ბ-ს“ (6007, საქართველო, ბათუმი, ნონეშვილის ქ.65) საჯარო სააქციო საზოგადოება „პ-ის“ (36008 უკრაინა, ქ.პლტავა, ... ქ.158) სასარგებლოდ დაეკისრა ჯამში 21 881.82



აშშ დოლარის ანაზღაურება, აქედან, 19 816.46 აშშ დოლარი – მინოდებული საქონლის საფასურის ანაზღაურებისთვის და 2 065.36 აშშ დოლარი – საარბიტრაჟო გადასახადზე განეული ხარჯის ანაზღაურებისთვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ საჯარო სააქციო საზოგადოება „პ-ას“ (გადამხდელია დავით ებრაღიძე) შუამდგომლობაზე გადახდილი აქვს 1333.09 ლარი. აქედან გამომდინარეებს „ბ-ს“ უნდა დაეკისროს საჯარო სააქციო საზოგადოება „პ-ის“ მიერ შუამდგომლობაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1333.09 ლარის გადახდა.

რაც შეეხება შუამდგომლობის წარმოებაზე ადვოკატის დახმარების გამო განეული ხარჯის, 1000 აშშ დოლარის მონივრულად მხარისათვის დაკისრების შუამდგომლობას, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორ-

ციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ერთ-ერთი მხარისათვის მეორე მხარის მიერ წარმომადგენლის დახმარების გამო განეული ხარჯების ანაზღაურების დაკისრების შესაძლებლობას, თუკი დავა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ დასრულდება. ამასთან, ასეთი ხარჯების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმად კანონმდებელი ადგენს „გონივრულ ოდენობას“, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს დავის საგნის ღირებულების 4%-ს.

მოცემულ შემთხვევაში, შუამდგომლობის ავტორმა მის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გაღებული ხარჯის დასადასტურებლად წარმოადგინა იურიდიული მომსახურების განევის შესახებ მასა და წარმომადგენელს შორის 2015 წლის 12 იანვარს დადებული ხელშეკრულება და ამ მიზნით თანხის ჩარიცხვის თაობაზე ამონაწერი. ამასთან, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მოცემულ შემთხვევაში, შუამდგომლობის ავტორის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გაღებული ხარჯის ასანაზღაურებლად მოთხოვნილი ოდენობა – 1000 აშშ დოლარი – აღემატება დავის საგნის ღირებულების, 21881.82 აშშ დოლარის 4%-ს. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ბ-ს“ საჯარო სააქციო საზოგადოება „პ-ს“ სასარგებლოდ წარმომადგენლის დახმარების გამო განეული ხარჯის ასანაზღაურებლად უნდა დაეკისროს 875.30 აშშ დოლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საჯარო სააქციო საზოგადოება „პ-ს“ შუამდგომლობა უკ-

რაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილების (საქმე AC № 345/2013) ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე AC № 345/2013) იმ ნაწილში, რომლითაც:

შპს „ბ-ს“ (6007, საქართველო, ბათუმი, ... ქ. №65) საჯარო სააქციო საზოგადოება „პ-ს“ (36008 უკრაინა, ქ.პლტავა, ფრუნ-ზეს ქ. №158) სასარგებლოდ დაეკისრა ჯამში 21 881.82 აშშ დოლარის ანაზღაურება, აქედან, 19 816.46 აშშ დოლარი – მიწოდებული საქონლის საფასურის ანაზღაურებისთვის და 2 065.36 აშშ დოლარი – საარბიტრაჟო გადასახადზე განეული ხარჯის ანაზღაურებისთვის.

3. შპს „ბ-ს“ საჯარო სააქციო საზოგადოება „პ-ს“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ შუამდგომლობაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1333.09 ლარისა და წარმომადგენლის დახმარების გამო განეული ხარჯის – 875.30 აშშ დოლარის გადახდა.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**განჩინება**

№ა-3841-შ-106-2014

13 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეცი

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ბელორუსიის რესპუბლიკის გროდნოს ოლქის სმორგონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ს. კ-ეს (დაბადებულს 1978 წლის 18 მაისს საქართველოში, ქალაქი ბათუმი, გრიბოდოვის ქუჩა, სახლი №39, ბინა №23) ი. ა-ის ასულ ე-ას (მცხოვრები მისამართზე: ბელორუსიის რესპუბლიკა, გროდნოს ოლქი, ქალაქი სმორგონი, ... ქუჩა, სახლი №4, ბინა №8) სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა შვილების – ... წლის 28 დეკემბერს დაბადებული ი-ს, ... წლის 19 ოქტომბერს დაბადებული ნ-ს, ... წლის 18 თებერვალს დაბადებული ბ-სა და ... წლის 23 მაისს დაბადებული გ-ს რჩენისათვის ხელფასისა და სხვა შემოსავლის 50%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ საარსებო მინიმუმის ბიუჯეტის 100%-სა საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე, 2014 წლის 18 აპრილიდან შვილების სრულწლოვანებაამდე. ასევე დაეკისრა ს. კ-ეს ი. ა-ის ასულ ე-ას სასარგებლოდ მისი რჩენის ხარჯების გადახდა 2013 წლის 23 მაისს დაბადებული გ. კ-ის მიერ სამი წლის ასაკის მიღწევამდე, ყოველთვიურად 07 საბაზო სიდიდის ოდენობით, 2014 წლის 18 აპრილიდან.

ი. ე-ამ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობით მოითხოვა ბელორუსიის რესპუბლიკის გროდნოს ოლქის სმორგონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობებზე დართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ბელორუსიის რესპუბლიკის გროდნოს ოლქის სმორგონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილების გამოტანამდე საქმის წარმოების თაობაზე გაფრთხილებული იყო მოპასუხე ს. კ-ე, მას ჩაბარდა საქმის მასალები

ბათუმში, ... ქუჩა, სახლი №39, ბინა №23-ში, 2014 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და მისი აღსრულება ბელორუსიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვერ განხორციელდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 22 დეკემბრის განჩინებით ი. ე-ას შუამდგომლობა წარმოებაში იქნა მიღებული.

ზემოაღნიშნული განჩინების, შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები მოპასუხე ს. კ-ეს, გაეგზავნა 2015 წლის 6 იანვარს და ჩაბარდა 2015 წლის 9 იანვარს, თუმცა მას განჩინებით განსაზღვრულ ვადაში აღნიშნულ შუამდგომლობაზე აზრი არ გამოუთქვამს, ასევე, არ მოუთხოვია საქმის ზეპირი განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს და მივიდა დასკვნამდე, რომ ი. ე-ას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, ბელორუსიის რესპუბლიკის გროდნოს ოლქის სმორგონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება ცნობილ იქნას და აღსასრულებლად მიექცეს საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ბელორუსიის რესპუბლიკის გროდნოს ოლქის სმორგონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ს. კ-ეს (დაბადებულს 1978 წლის 18 მაისს საქართველოში, ქალაქი ბათუმი, ... ქუჩა, სახლი №39, ბინა №23) ი. ა-ის ასულ ე-ას (მცხოვრები მისამართზე: ბელორუსიის რესპუბლიკა, გროდნოს ოლქი, ქალაქი სმორგონი, ... ქუჩა, სახლი №4, ბინა №8) სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა შვილების – 2007 წლის 28 დეკემბერს დაბადებული ი-ს, ... წლის 19 ოქტომბერს დაბადებული ნ-ს, ... წლის 18 თებერვალს დაბადებული ბ-სა და ... წლის 23 მაისს დაბადებული გ-ს რჩენისათვის ხელფასისა და სხვა შემოსავლის 50%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ საარსებო მინიმუმის ბიუჯეტის 100%-სა საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე, 2014 წლის 18 აპრილიდან შვილების სრულწლოვანებამდე. ასევე დაეკისრა ს. კ-ეს ი. ა-ის ასულ ე-ას სასარგებლოდ მისი რჩენის ხარჯების გადახდა 2013 წლის 23 მაისს დაბადებული გ. კ-ის მიერ სამი წლის ასაკის მიღწევამდე, ყოველთვიურად 07 საბაზო სიდიდის ოდენობით, 2014 წლის 18 აპრილიდან.

შუამდგომლობაზე დართული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ბელორუსიის რესპუბლიკის გროდნოს ოლქის სმორგონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილების გამოტანამდე საქმის წარმოების თაობაზე გაფრთხილებული იყო მოპასუხე ს. კ-ე, მას ჩაბარდა საქმის მასალები ბათუმში, ... ქუჩა, სახლი №39, ბინა №23-ში, 2014 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და მისი აღსრულება ბელორუსიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ განხორციელდა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია 68-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, ბელორუსიის რესპუბლიკის გროდნოს ოლქის სმორგონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნეს ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამარ-

თლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ი. ე-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და დაექვემდებაროს აღსრულებას ბელორუსიის რესპუბლიკის გროდნოს ოლქის სმორგონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც: ს. კ-ეს (დაბადებულს 1978 წლის 18 მაისს საქართველოში, ქალაქი ბათუმი, ... ქუჩა, სახლი №39, ბინა №23) ი. ა-ის ასულ ე-ას (მცხოვრები მისამართზე: ბელორუსიის რესპუბლიკა, გროდნოს ოლქი, ქალაქი სმორგონი, ... ქუჩა, სახლი №4, ბინა №8) სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა შვილების – ... წლის 28 დეკემბერს დაბადებული ი-ს, ... წლის 19 ოქტომბერს დაბადებული ნ-ს, ... წლის 18 თებერვალს დაბადებული ბ-სა და ... წლის 23 მაისს დაბადებული გ-ის რჩენისათვის ხელფასისა და სხვა შემოსავლის 50%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ საარსებო მინიმუმის ბიუჯეტის 100%-სა საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე, 2014 წლის 18 აპრილიდან შვილების სრულწლოვანებამდე. ასევე დაეკისრა ს. კ-ეს ი. ა-ის ასულ ე-ას სასარგებლოდ მისი რჩენის ხარჯების გადახდა ... წლის 23 მაისს დაბადებული გ. კ-ის მიერ სამი წლის ასაკის მიღწევამდე, ყოველთვიურად 07 საბაზო სიდიდის ოდენობით, 2014 წლის 18 აპრილიდან;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-4023-შ-105-2014

18 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

მოსამართლე: ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „დ-ს“ შპს „ტ-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა 713745 რუსული რუბლის გადახდა.

შპს „ტ-მა“ საქართველოს უზენაეს სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების ცნობისა და იძულებით აღსრულების მოთხოვნით მიმართა.

### სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 6 თებერვლის განჩინებით შუამდგომლობის ავტორს დაევალა წარმოედგინა ცნობა, რომ გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და ცნობა, რომ მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე.

განჩინების პასუხად, შუამდგომლობის ავტორმა წარმოადგინა გადაწყვეტილების ასლი, რომელსაც აქვს აღნიშნვა „სასამართლო აქტი შესულია კანონიერ ძალაში“, რაც შეეხება მოპასუხის ინფორმირებას, შუამდგომლობის ავტორმა წარმოადგინა ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს წერილი, რომლის მიხედვითაც ამ შინაარსის ცნობის გაცემა რუსეთის ფედერაციის საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული არ არის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68.2 მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ გადან-



ყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები.

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის 53.1.ბ მუხლის თანახმად გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების ნებართვის შესახებ შუამდგომლობას თან ერთვის დოკუმენტი, საიდანაც გამომდინარეობს, რომ მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება, და რომელიც არ მონაწილეობდა პროცესში, სათანადო წესრიგში იმყოფებოდა და დროულად იქნა გამოძახებული სასამართლოში, ხოლო მისი პროცესუალური არაქმედუნარიანობის შემთხვევაში სათანადოდ იქნა წარმოდგენილი.

მოცემულ შემთხვევაში, ასეთი დოკუმენტი წარმოდგენილი არ ყოფილა, რის თაობაზეც მხარეს ხარვეზის განჩინებით განემარტა. სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შუამდგომლობის ავტორს ხარვეზი არ გამოუხსნორებია. რაც შეეხება ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს წერილს, რომლის მიხედვითაც, ამ შინაარსის ცნობის გაცემა რუსეთის ფედერაციის საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული არ არის, საკასაციო სასამართლოსათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ფაქტი არის ის, რომ წარმოდგენილი არ არის რაიმე დოკუმენტი, რაც დაადასტურებდა, რომ მოპასუხეს დროულად ეცნობა საქმის განხილვის თაობაზე და ჩაბარდა სარჩელის ასლი, ხოლო ის გარემოება, თუ რატომ უქმნის პრობლემას მხარეს თავისი ქვეყნის სასამართლო იმ ფაქტის დადასტურებაზე, რომ კანონით დადგენილი ვალდებულება შეასრულა და მოპასუხე სასამართლო სხდომაზე მიიწვია, საქართველოს უზენაეს სასამართლოს არ ეხება.

ვინაიდან წარმოდგენილი შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის მოთხოვნებს, იგი განუხილველად უნდა დარჩეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, მუხლით და

## **დაადგინა:**

1. შპს „ტ-ს“ შუამდგომლობა ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დარჩეს განუხილველად;
2. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-2787-შ-80-2014

9 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის აახენის საოლქო სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 01.10.2013 წლის გადაწყვეტილებით ე. ს-სა და დ. ს-ს შორის 05.08.2005 წელს გუტენცელ-ჰურბელის მმარის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ე. ს-მა და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 01.10.2013 წლიდან და მხარეები მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

#### **სამოტივაცო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს

შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის აახენის საოლქო სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 01.10.2013 წლის გადაწყვეტილებით ე. ს-სა და დ. ს-ს შორის 05.08.2005 წელს გუტენცელ-ჰურბელის მძაჩის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, გერმანიის აახენის საოლქო სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 01.10.2013 წლის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ე. ს-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. გერმანიის აახენის საოლქო სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 01.10.2013 წლის გადაწყვეტილება, რომლითაც ე. ს-სა და დ. ს-ს შორის 05.08.2005 წელს გუტენცელ-ჰურბელის მძაჩის ბიუროში რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა, ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანჩინება

№ა-151-შ-5-2014

26 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხაზარის რაიონის სასამართლოს 2012 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით ი-ვა გ. ა. კ-ის სასარჩელო მოთხოვნები ა-ვა ტ-ის მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ა-ვა ტ-ის ი-ვა გ. ა. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 4000 აშშ დოლარის ეკვივალენტი მანათის გადახდა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მომართა ი-ვა გ. ა. კ-იმ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 17 სექტემბერს, არ აღსრულებულა და მხარეები ინფორმირებული იყვნენ საქმის განხილვის თაობაზე.

### სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხაზარის რაიონის სასამართლოს 2012 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით ი-ვა გ. ა. კ-ის სასარჩელო მოთხოვნები ა-ვა ტ-ის მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ა-ვა ტ-ის ი-ვა გ. ა. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 4000 აშშ დოლარის ეკვივალენტი მანათის გადახდა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს

კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმავე მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი გამონაკლისებისა.

იმავე კანონის 70-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მიხედვით, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას. აღსრულებაზე გადაწყვეტილება მიიღება დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ.

პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი გადაწყვეტილების ცნობის დამაბრკოლებელი გარემოებები, ამასთან აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხაზარის რაიონის სასამართლოს 2012 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას და მხარეს აღძრული აქვს შესაბამისი შუამდგომლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხაზარის რაიონის სასამართლოს 2012 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ი-ვა გ. ა. კ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხაზარის რაიონის სასამართლოს 2012 წლის 27 ივლისის №2(003)-1583/2012 გადაწყვეტილება ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანკინება

№ა-508-შ-15-2014

9 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. მოგილიოვის სამეურნეო სასამართლოს 11.10.2013 წლის გადაწყვეტილებით ღს „ს-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს ეს „G-B-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა საქონლის ღირებულების, 21464,64 აშშ დოლარის, 12.11.2012 წლიდან 15.05.2013 წლამდე პერიოდისათვის ვადის გადაცილებისათვის ჯარიმის – 5942,14 აშშ დოლარის გადახდა, სახელმწიფო ბაჟის – 1052,61 აშშ დოლარის ანაზღაურება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მომართა ღს „ქალღღის ფაბრიკა სპარტაკმა“ „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე მუხლის საფუძველზე ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და იძულებით აღსრულების მოთხოვნით.

განცხადებაზე თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 26.11.2013 წლიდან, ბელორუსიის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა და შპს ეს „G-B-ს“ ეცნობა საქმის განხილვის თაობაზე.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთ-

ბების შესახებ“ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შუამდგომლობა გადანყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადანყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება. იგი ასევე შეიძლება წარედგინოს სასამართლოში, სადაც გამოტანილ იქნა პირველი ინსტანციის გადანყვეტილება. ეს სასამართლო შუამდგომლობას გადასცემს სასამართლოს, რომელიც კომპეტენტურია გამოიტანოს გადანყვეტილება ამ შუამდგომლობაზე.

იმავე კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადანყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვისა და აღიარების თაობაზე, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადანყვეტილება იძულებითი აღსრულების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული კონვენციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და არც კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებულ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არსებობს.

კონვენციის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით იძულებითი აღსრულების წესი განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე, 54-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ღს „ს-ის“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. მოგილიოვის სამეურნეო სასამართლოს 11.10.2013 წლის გადანყვეტილება ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანრინება

№ა-2785-შ-79-2014

12 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ალტოტინგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით ვ. ბ-ისა და მ. ბ-ი-ნ-ეს შორის 06.06.2005 წელს მიუწხენის მმარის ბიუროში რეგისტრირებული №1472/2005 ქორწინება შეწყდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა მ. ბ-ი-ნ-ემ და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და მხარეები მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის ალტოტინგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით ვ. ბ-ისა და მ. ბ-ი-ნ-ეს შორის 06.06.2005 წელს მიუწხენის მმარის ბიუროში რეგისტრირებული №1472/2005 ქორწინება შეწყდა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარ-



და იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, გერმანიის ალტოტინგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ბ-ი-ნ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. გერმანიის ალტოტინგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ვ. ბ-ისა და მ. ბ-ი-ნ-ეს შორის 06.06.2005 წელს მიუხეხნის მმარის ბიუროში რეგისტრირებული №1472/2005 ქორწინება შეწყდა, ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე; განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-1912-შ-55-2014

12 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიჭვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება, სასამართლო ხარჯე-  
ბის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

ბელორუსიის რესპუბლიკის მინსკის ოლქის სოლიგორის რა-  
იონული სასამართლოს 2014 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით  
ს. მ-სა და ი. მ-ს (ქორწინებამდელი გვარი ტ-სი) შორის 2011 წლის  
11 თებერვალს სოლიგორის მმარის ბიუროში №68 სააქტო ჩანა-  
წერით რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა, მოსარჩელეს  
დარჩა გვარი მ-ი, 01.03.1979 წელს დაბადებულ ს. მ-ს 28.04.1984  
წელს დაბადებულ ი. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა არასრულ-  
წლოვანი ქალიშვილის – 13.10.2011 წელს დაბადებულ მ. ს-ს  
ასულ მ-ის შენახვისათვის ალიმენტი მოპასუხის ყოველთვიუ-  
რი შემოსავლის 25%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ საარსე-  
ბო მინიმუმის 50%-ისა 30.03.2013 წლიდან ბავშვის სრულწლო-  
ვანებამდე. ს. მ-ს დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სა-  
ხელმწიფო ბაჟის 814 400 რუბლის გადახდა.

2014 წლის 13 ივნისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
განცხადებით მომართა ბელორუსიის რესპუბლიკის მინსკის ოლ-  
ქის სოლიგორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ა. ტ-მა  
„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სა-  
მართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთო-  
ბების შესახებ“ კონვენციის 53-ე მუხლის საფუძველზე ზემო-  
აღნიშნული გადაწყვეტილების სახელმწიფო ბაჟის დაკისრების  
ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და იძულებით  
აღსრულების მოთხოვნით. საქართველოს უზენაესი სასამარ-  
თლოს ასევე მომართა ი. მ-მა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილე-  
ბის ალიმენტის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტო-  
რიაზე ცნობისა და იძულებით აღსრულების მოთხოვნით.

განცხადებაზე თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გადანყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2014 წლის 19 მაისს, ალიმენტისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში ბელორუსიის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა და ს. მ-ი ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შუამდგომლობა გადანყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადანყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება. იგი ასევე შეიძლება წარედგინოს სასამართლოში, სადაც გამოტანილ იქნა პირველი ინსტანციის გადანყვეტილება. ეს სასამართლო შუამდგომლობას გადასაცემს სასამართლოს, რომელიც კომპეტენტურია გამოიტანოს გადანყვეტილება ამ შუამდგომლობაზე.

იმავე კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადანყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვისა და აღიარების თაობაზე, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადანყვეტილება იძულებითი აღსრულების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული კონვენციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და არც კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არსებობს.

კონვენციის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით იძულებითი აღსრულების წესი განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე, 54-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ბელორუსიის რესპუბლიკის მინსკის ოლქის სოლიგორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ა. ტ-სა და ი. მ-ის შუამდგომლობები დაკმაყოფილდეს;

2. ბელორუსიის რესპუბლიკის მინსკის ოლქის სოლიგორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

### **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

#### **განჩინება**

№ა-3294-შ-86-2013

23 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

მოსკოვის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 7 აგვისტოს სააპელაციო განჩინებით ხოროშევის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23 დეკემბრის დაუსრულებელი გადაწყვეტილება გაუქმდა, საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ვ-ვას ყ. ც-ვას სასარგებლოდ დაეკისრა 2008 წლის 7 სექტემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანება 1 600 000 რუბლი, პროცენტი 394 246,4 რუბლი, სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისათ-

ვის პროცენტი 109 153 რუბლი, სახელმწიფო ბაჟი 19171,24 რუბლი, სულ ჯამში 2121570,24 რუბლი.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა ჟ. ც-ვამ „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე მუხლის საფუძველზე ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და იძულებით აღსრულების მოთხოვნით.

განცხადებაზე თანდართული მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო განჩინება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 7 აგვისტოს, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა და ნ. ვ-ვა ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება. იგი ასევე შეიძლება წარედგინოს სასამართლოში, სადაც გამოტანილ იქნა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. ეს სასამართლო შუამდგომლობას გადასცემს სასამართლოს, რომელიც კომპეტენტურია გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ შუამდგომლობაზე.

იმავე კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვისა და აღიარების თაობაზე, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული კონვენციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და არც კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არსებობს.

კონვენციის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით იძულებითი აღსრულების წესი განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე, 54-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ჟ. ც-ვას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
  2. მოსკოვის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 7 აგვისტოს №11-11171 სააპელაციო განჩინება ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად;
- განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**განჩინება**

№ა-338-შ-11-2014

18 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** მშობლის უფლების ჩამორთმევა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ბელორუსიის რესპუბლიკის ვიტების ოლქის ბეშენკოვის რაიონის სასამართლოს 2013 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით რ. ფ-იასა და მ. ზ-ოს შორის რეგისტრირებული ქორწინება

შენწყდა, რ. ფ-იას ჩამოერთვა მშობლის უფლება არასრულწლოვანი შვილის, 25.112011 წელს დაბადებულ თ. ფ-იას მიმართ. რ. ფ-იას სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 390 000 რუბლის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა ბელორუსიის რესპუბლიკის ვიტების ოლქის ბეშენკოვის რაიონის სასამართლოს მოსამართლე ნ. რ-მ „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე მუხლის საფუძველზე ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და იძულებითი აღსრულების მოთხოვნით.

განცხადებაზე თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 17 დეკემბერს, სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში ბელორუსიის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა და რ. ფ-ია ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება. იგი ასევე შეიძლება წარედგინოს სასამართლოში, სადაც გამოტანილ იქნა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. ეს სასამართლო შუამდგომლობას გადასცემს სასამართლოს, რომელიც კომპეტენტურია გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ შუამდგომლობაზე.

იმავე კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვისა და აღიარების თაობაზე, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს

გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული კონვენციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და არც კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არსებობს.

კონვენციის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით იძულებითი აღსრულების წესი განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ბელორუსიის რესპუბლიკის ვიტების ოლქის ბეშენკოვის რაიონის სასამართლოს მოსამართლე ნ. რ.-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. ბელორუსიის რესპუბლიკის ვიტების ოლქის ბეშენკოვის რაიონის სასამართლოს 2013 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება



**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**განჩინება**

№ა-131-შ-1-2015

16 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

**აღწერილობითი ნაწილი:**

გერმანიის ჰანოვერის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2006 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით ე. ჭ-ესა და ი. ჯ-ეს შორის 1999 წლის 24 ივლისს უჯარმის (საქართველო) მმაჩის ბიუროს მოხელის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი ...) შეწყდა. წილები არ გათანაბრებულა, ხოლო სასამართლო ხარჯები განანილდა მხარეთა შორის.

საქართველოს უზენაესი სასამართლო შუამდგომლობით მომართა ი. ჯ-ემ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონმებული სასამართლო გადაწყვეტილების შესწავლით ირკვევა, რომ მხარეები ინფორმირებული იყვნენ საქმის განხილვის თაობაზე (განხილულია ზეპირი მოსმენით), დასტურდება, რომ გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში 2006 წლის 29 აგვისტოდან, ამასთან, ი.ჯ-ის განმარტებით, იგი აღსრულებულია გერმანიის ტერიტორიაზე.

შუამდგომლობაზე დართული პირადობის მოწმობით ირკვევა, რომ ი. ჯ-ე კვლავ საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 იანვრის განჩინებით ი. ჯ-ის შუამდგომლობა გერმანიის ჰანოვერის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2006 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. ჯ-ის შუამდგომლობა გერმანიის ჰანოვერის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2006 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის ჰანოვერის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2006 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით ე. ჭ-ესა და ი. ჯ-ეს შორის 1999 წლის 24 ივლისს უჯარმის (საქართველო) მმაჩის ბიუროს მოხელის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი ...) შეწყდა. წილები არ გათანაბრებულა, ხოლო სასამართლო ხარჯები განაწილდა მხარეთა შორის.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ი. ჯ-ემ და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონმებული სასამართლო გადაწყვეტილების შესწავლით ირკვევა, რომ მხარეები ინფორმირებული იყვნენ საქმის განხილვის თაობაზე (განხილულია ზეპირი მოსმენით), დასტურდება, რომ გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში 2006 წლის 29 აგვისტოდან, ამასთან, ი. ჯ-ის განმარტებით, იგი აღსრულებულია გერმანიის ტერიტორიაზე.

შუამდგომლობაზე დართული პირადობის მოწმობით დასტურდება, რომ ი. ჯ-ე კვლავ საქართველოს მოქალაქეა.

საკასაციო პალატა მიუთითებს „საერთაშორისო კერძო სასამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმადაც, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხოლო ნორმის მე-2 პუნქტით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქმევა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

ამდენად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტი-

ლების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ენინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით ასევე დადგენილია გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზემოსხეებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, გერმანიის ჰანოვერის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2006 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ი. ჯ-ის შუამდგომლობა გერმანიის ჰანოვერის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2006 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის ჰანოვერის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2006 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც ე. ჭ-ესა და ი. ჯ-ეს შორის 1999 წლის 24 ივლისის უჯარმის (საქართველო) მმარის

ბიუროს მოხელის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი 2/1999) შეწყდა, მხარეთა შორის წილები არ გათანაბრებულა, ხოლო სასამართლო ხარჯები განაწილდა მათ შორის.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-2743-შ-62-2013

2 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე**

**განხილვის საგანი:** რუსეთის ფედერაციის ქ.სოჭის ხოსტის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილების (საქმე №2-1767/12) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

რუსეთის ფედერაციის ქ.სოჭის ხოსტის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დადგინდა იურიდიული ფაქტი გ. ა-ის ძე ბ-ის მიერ აშკარად ყალბი დოკუმენტების (ცნობა ...-ის, სერია ...-ის შემცველი დაბადების მოწმობის, ქ.სოხუმის ადმინისტრაციის საბინაო სამმართველოს №3 სახლთმმართველობიდან 2006 წლის 24 ივნისის №716 ცნობის) წარდგენის თაობაზე.

გ. ბ-ემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემოთხეული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით გ. ბ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ გ. ბ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის ქ.სოჭის ხოსტის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე №2-1767/12) დადგინდა იურიდიული ფაქტი გ. ა-ის ძე ბ-ის მიერ აშკარად ყალბი დოკუმენტების (ცნობა ...-ის, სერია ...-ის შემცველი დაბადების მოწმობის, ქ.სოხუმის ადმინისტრაციის საბინაო სამმართველოს №3 სახლთმმართველობიდან 2006 წლის 24 ივნისის №716 ცნობის) წარდგენის თაობაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, რუსეთის ფედერაციის ქ.სოჭის ხოსტის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა იურიდიული ფაქტი გ. ა-ის ძე ბ-ის მიერ აშკარად ყალბი დოკუმენტების (ცნობა ...-ის, სერია ...-ის შემცველი დაბადების მოწმობის, ქ.სოხუმის ადმინისტრაციის საბინაო სამმართველოს №3 სახლთმმართველობიდან 2006 წლის 24 ივნისის №716 ცნობის) წარდგენის თაობაზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ბ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ.სოჭის ხოს-

ტის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილების (საქმე №2-1767/12) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას რუსეთის ფედერაციის ქ.სოჭის ხოსტის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე №2-1767/12), რომლითაც დადგინდა იურიდიული ფაქტი გ. ა-ის ძე ბ-ის მიერ აშკარად ყალბი დოკუმენტების (ცნობა ...-ის, სერია ...-ის შემცველი დაბადების მოწმობის, ქ.სოხუმის ადმინისტრაციის საბინაო სამმართველოს №3 სახლთმმართველობიდან 2006 წლის 24 ივნისის №716 ცნობის) წარდგენის თაობაზე.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-2088-შ-58-2014

20 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

გაერთიანებული სამეფოს მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს სამეფო სკამის განყოფილების კომერციული სასამართლოს 2014 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით მოსარჩელეების „მ. ლ-ის“, „ს. ლ-ის“, სს „ფ. ქ-ის“, სს „ბანკი ო-ს“, „ფ. ლ-ის“ სასარგებლოდ ვ. გ-ას დაეკისრა 150933750 აშშ დოლარის გადახდა, თ. გ-ას 2750000 აშშ დოლარის, ხოლო „ქ. ლ-ს“ – 6 900 000 აშშ დოლარის გადახდა.

2014 წლის 14 მარტს იმავე სასამართლომ გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოოა, მოპასუხეებმა მოსარჩელეებს უნდა გადაუხადონ გა-

დანყვეტილება მითითებული თანხები, ასევე უნდა აანაზღაურონ გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდისათვის ძირითად თანხებზე დარიცხული პროცენტი წელიწადში 3,25%, ბრძანების „ბ“ დანართში მოცემული თანხების შესაბამისად, თითოეულმა მოპასუხემ უნდა აანაზღაუროს მოსარჩელის სასამართლო ხარჯების შესაბამისი წილი „დ“ დანართის მიხედვით და ა.შ.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა „მ. ლ-ის“, „ს. ლ-ის“, სს „ფ. ქ-ის“, სს „ბანკი ო-ს“, „ფ. ლ-ის“ წარმომადგენელმა ნ. ყ-მა და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებისა და ბრძანების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება. შუამდგომლობის ავტორის მითითებით, ვ. და თ. გ-ებს, ასევე „ქ. ლ-ს“ საქართველოში გააჩნია ქონება, რომელზეც უნდა მიექცეს აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაში შევიდა და ექვემდებარება აღსრულებას, ასევე, მხარეების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 68-ე მუხლის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუ არ არსებობს ამავე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი დამაბრკოლებელი გარემოებები. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

მოცემულ საქმეზე არ არსებობს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები. საყურადღებოა, რომ არც მონინალმდევე მხარეებს წარმოუდგენიათ გადაწყვეტილების ცნობის წინააღმდეგ რაიმე შედავაება.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 70.1 მუხლის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას. მოცემულ შემთხვევაში, გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას და მხარე შესაბამის შუამდგომლო-

ბას აყენებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გაერთიანებული სამეფოს მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს სამეფო სკამის განყოფილების კომერციული სასამართლოს 2014 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება, 2014 წლის 14 მარტის ბრძანება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. „მ. ლ-ის“, „ს. ლ-ის“, სს „ფ. ქ-ის“, სს „ბანკი ო-ს“, „ფ. ლ-ის“ წარმომადგენელ ნ. ყ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. გაერთიანებული სამეფოს მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს სამეფო სკამის განყოფილების კომერციული სასამართლოს 2014 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება და 2014 წლის 14 მარტის ბრძანება ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება



**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**ბანჩინება**

№ა-2116-შ-60-2014

27 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფი არასრულ-  
წლოვანის შენახვის ხარჯების ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გროდნოს ოქტომბრის რაიონის სასამართლოს 2010 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით 2010 წლის 19 თებერვლიდან სამომავლოდ ი. ს-სა და ბ. ს-ს დაეკისრათ სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანი შვილის, 2008 წლის 18 აპრილს დაბადებული ს. ბ-ის ასულ ს-ს შენახვის ხარჯები ბელორუსიის მთავრობის მიერ განსაზღვრული ოდენობით. ბ. ს-ს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 35000 რუბლის ანაზღაურება.

2014 წლის 26 ივნისს საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გროდნოს ოქტომბრის რაიონის ადმინისტრაციის სპორტის, ტურიზმისა და განათლების განყოფილების უფროსი ლიუდმილა მიაჩინამ „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე მუხლის საფუძველზე ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და იძულებით აღსრულების მოთხოვნით.

განცხადებაზე თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 23 მარტს, ნაწილობრივ აღსრულდა ბელორუსიის ტერიტორიაზე, ბ. ს-ს დავალიანება შეადგენს 19 193 928 ბელორუსულ მანეთს, საქმე განხილულ იქნა სასამართლო სხდომის დანიშვნისა და მხარეთა გამოძახების გარეშე. მოპასუხეს საქმის განხილვის თაობაზე ეცნობა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს.

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება. იგი ასევე შეიძლება წარედგინოს სასამართლოში, სადაც გამოტანილ იქნა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. ეს სასამართლო შუამდგომლობას გადასცემს სასამართლოს, რომელიც კომპეტენტურია გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ შუამდგომლობაზე.

იმავე კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვისა და აღიარების თაობაზე, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული კონვენციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და არც კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არსებობს.

კონვენციის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით იძულებითი აღსრულების წესი განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გროდნოს ოქტომბრის რაიონის ადმინისტრაციის სპორტის, ტურიზმისა და განათლების განყოფილების უფროსი ლ. მ-ს შუამდგომლობა ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გროდნოს ოქტომბრის რაიონის სასამართლოს 2010 წლის 12 მარტის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე, 54-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გროდნოს ოქტომბრის რაიონის ადმინისტრაციის სპორტის, ტურიზმისა და განათლების განყოფილების უფროს ლ. მ-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გროდნოს ოქტომბრის რაიონის სასამართლოს 2010 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-3293-შ-94-2014

27 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ბ. ალავიძე,**

**პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** ალიმენტის გადახდა, სასამართლო ხარჯების ანაზღაურება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ფსკოვის ოლქის ბეჟანიცის რაიონის სასამართლოს №1 სასამართლო განყოფილების 2014 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით მ. ს-ს დაეკისრა ს. ს-ს სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის, მ. ს-ის შენახვისათვის ალიმენტი ყოველთვიურად, ყოველგვარი შემოსავალის 1/4 2014 წლის 17 აპრილიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, მასვე დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის, 100

რუბლის, ანაზღაურება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა ს. ს-მა და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების აღიმენცის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება. სასამართლოს ასევე მომართა ფსკოვის ოლქის ბეჟანციის რაიონის სასამართლოს №1 სასამართლო განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლე ე. პ-მ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით.

განცხადებაზე თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა, რუსეთის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა და მიქაელ სარქისიანს ეცნობა საქმის განხილვის თაობაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს.

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება. იგი ასევე შეიძლება წარედგინოს სასამართლოში, სადაც გამოტანილ იქნა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. ეს სასამართლო შუამდგომლობას გადასცემს სასამართლოს, რომელიც კომპეტენტურია გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ შუამდგომლობაზე.

იმავე კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვისა და აღიარების თაობაზე, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული კონვენციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და არც კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არსებობს.

კონვენციის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით იძულებითი აღსრულების წესი განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ს. ს-სა და ფსკოვის ოლქის ბეჟანიცის რაიონის სასამართლოს №1 სასამართლო განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე ე. პ-ს (სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში) შუამდგომლობა ფსკოვის ოლქის ბეჟანიცის რაიონის სასამართლოს №1 სასამართლო განყოფილების 2014 წლის 28 მაისის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე, 54-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ს. ს-სა და ფსკოვის ოლქის ბეჟანიცის რაიონის სასამართლოს №1 სასამართლო განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე ე. პ-ს (სასამართლო ხარჯების დაკისრების ნაწილში) შუამდგომლობები დაკმაყოფილდეს;

2. ფსკოვის ოლქის ბეჟანიცის რაიონის სასამართლოს №1 სასამართლო განყოფილების 2014 წლის 28 მაისის №2-127/2014 გადაწყვეტილება ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანჩინება

№ა-1869-შ-54-2014

27 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

ისრაელის აშდოდის ოჯახურ საქმეთა სასამართლოს 2013 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილებით შეწყდა ქორწინება ჯ. ბ-სა და ე. ა-ს შორის.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა ჯ. გ-მა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაშია შესული და მხარეები ინფორმირებული იყვნენ საქმის განხილვის თაობაზე.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ჯ. გ-ს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ისრაელის აშდოდის ოჯახურ საქმეთა სასამართლოს 2013 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილებით შეწყდა ქორწინება ჯ. ბ-სა და ე. ა-ს შორის.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, ის-

რაელის აშდოდის ოჯახურ საქმეთა სასამართლოს 2013 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ჯ. გ-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.
2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე ისრაელის აშდოდის ოჯახურ საქმეთა სასამართლოს 2013 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შეწყდა ქორწინება ჯ. ბ-სა და ე. ა-ს შორის;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების  
საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**განჩინება**

№ა-4006-შ-111-2014

2 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: შ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება

**აღწერილობითი ნაწილი:**

უკრაინის ზაკარპატიის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „ა-ს“, მდებარე-

რე, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ... ქ.№22, სადარ-ბაზო პირველი, სართული მე-3, ბინა №331 (საიდენტიფიკაციო კოდი ...) დაეკისრა დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება „მუკაჩევოს ... ქარხნის“ სასარგებლოდ მდებარე, ქ. მუკაჩევო, ქუჩა ..., 101 (კოდი ...) 36 000 აშშ დოლარი (რომელიც 31.03.2014 წლის მდგომარეობით უკრაინის ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით შეადგენს 394 365 გრივნასა და 60 კაპიკს) მიწოდებული საქონლის დავალიანების ანაზღაურების მიზნით, 1 423, 23 აშშ დოლარი (რომელიც 31.03.2014 წლის მდგომარეობით უკრაინის ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით შეადგენს 15 590 გრივნასა და 95 კაპიკს) ჯარიმა და 328,44 აშშ დოლარი (რომელიც 31.03.2014 წლის მდგომარეობით უკრაინის ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით შეადგენს 3597 გრივნასა და 91 კაპიკს) წლიური სამი პროცენტი, ასევე, რვაათას სამასოცდა-თოთხმეტი გრივნა და 69 კაპიკი გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება „მუკაჩევოს ... ქარხანამ“, რომელმაც მოითხოვა, ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი უკრაინის ზაკარპატიის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ასევე შუამდგომლობაზე დართული სასამართლოს მიერ გაცემული ცნობებითა და მტკიცებულებათა დამონშებული ასლებით დასტურდება, რომ – დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება „მუკაჩევოს ... ქარხნის“ სარჩელი და თანდართული მასალები თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით ჩაბარდა შპს „ა-ის“ წარმომადგენელ მ. მ-ს (პ/ნ ...) 31.07.2014წ.-ს, ასევე დასტურდება, რომ მოპასუხის უფლებამოსილი წარმომადგენელი 01.10.2014წ.-ის სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა, სასამართლოს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები მოპასუხემ არ წარადგინა და არც სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე სასამართლოსათვის არ უცნობებია. ამასთან, რაიმე განცხადებით და შუამდგომლობით სასამართლოსათვის არ მიუმართავს.

უკრაინის ზაკარპატიის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, შესულია კანონიერ ძალაში 2014 წლის 17 ოქტომბერს და ექვემდებარება აღსრულებას. ასევე დასტურდება, რომ აღ-



ნიშნული გადაწყვეტილება უკრაინის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 09 იანვრის განჩინებით დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება „მუკაჩევოს ლუდსახარში ქარხნის“ შუამდგომლობა უკრაინის ზაკარპატიის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში, დადგინდა შუამდგომლობისა და თანდართული მასალების მონინალმდეგე მხარისათვის გაგზავნა და მასვე განემართა, რომ მოცემული განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის განმავლობაში ჰქონდა თავისი აზრის გამოთქმის უფლება, ასევე შეეძლო საქმის ზეპირი განხილვის მოთხოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შუამდგომლობა განიხილებოდა მხარეთა მოსმენის გარეშე.

საკასაციო პალატის ზემოაღნიშნული განჩინება საქმის მასალებთან ერთად სამჯერ გაეგზავნა შპს „ა-ს“ საქმეში არსებულ, ასევე, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულ მისამართზე, თუმცა მათი ჩაბარება ვერ მოხერხდა.

საბოლოოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 იანვრის განჩინება შპს „ა-ს“ (საიდენტიფიკაციო კოდი ...) ეცობა მისი საჯაროდ გამოქვეყნების გზით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა გაეცნო წარმოდგენილ შუამდგომლობასა და თანდართულ მასალებს და მივიდა დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის ზაკარპატიის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „ა-ს“, მდებარე, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ... ქ.№22, საღარბაზო პირველი, სართული მე-3, ბინა №331 (საიდენტიფიკაციო კოდი ...) დაეკისრა დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება „მუკაჩევოს ... ქარხნის“ სასარგებლოდ მდებარე, ქ. მუკაჩევო, ქუჩა ..., 101 (კოდი ...) 36 000 აშშ დოლარი (რომელიც 31.03.2014 წლის მდგომარეობით უკრაინის ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით შეადგენს 394 365 გრივნასა და 60 კაპიკს) მიწოდებული საქონლის დავალიანების ანაზღაურების მიზნით,

1 423, 23 აშშ დოლარი (რომელიც 31.03.2014 წლის მდგომარეობით უკრაინის ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით შეადგენს 15 590 გრივნასა და 95 კაპიკს) ჯარიმა და 328,44 აშშ დოლარი (რომელიც 31.03.2014 წლის მდგომარეობით უკრაინის ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით შეადგენს 3597 გრივნასა და 91 კაპიკს) წლიური სამი პროცენტი, ასევე, რვაათას სამასოცდა-ოთხმეტი გრივნა და 69 კაპიკი გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი უკრაინის ზაკარპატიის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ასევე შუამდგომლობაზე დართული სასამართლოს მიერ გაცემული ცნობებითა და მტკიცებულებათა დამონმბეჭდილი ასლებით დასტურდება, რომ – დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება „მუკაჩევოს ... ქარხნის“ სარჩელი და თანდართული მასალები თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით ჩაბარდა შპს „ა-ს“ წარმომადგენელ მ. მ-ს (პ/ნ 54001002975) 31.07.2014წ.-ს, ასევე დასტურდება, რომ მოპასუხის უფლებამოსილი წარმომადგენელი 01.10.2014წ.-ის სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა, სასამართლოს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები მოპასუხემ არ წარადგინა და არც სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე სასამართლოსათვის არ უცნობებია. ამასთან, რაიმე განცხადებით და შუამდგომლობით სასამართლოსათვის არ მიუმართავს.

უკრაინის ზაკარპატიის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, შესულია კანონიერ ძალაში 2014 წლის 17 ოქტომბერს და ექვემდებარება აღსრულებას. ასევე დასტურდება, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება უკრაინის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შე-

ეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, სამოქალაქო საქმეთა პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას. ამავე კანონის 71-ე მუხლით კი, დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. სამოქალაქო საქმეთა პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, კანონის ზემოთ ხსენებული დანაწესები დაცულია.

ამრიგად, უკრაინის ზაკარპატიის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება „მუკაჩევოს ... ქარხნის“ შუამდგომლობა უკრაინის ზაკარპატიის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის ზაკარპატიის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2014 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე შპს „ა-ს“, მდებარე, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ... ქ.№22, სადარბაზო პირველი, სართული მე-3, ბინა №331 (საიდენტიფიკაციო კოდი ...) დაეკისრა დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება „მუკაჩევოს ... ქარხნის“ სასარგებლოდ მდებარე, ქ. მუკაჩევო, ქუჩა ..., 101 (კოდი ...) 36 000 აშშ დოლარი (რომელიც 31.03.2014 წლის მდგომარეობით

უკრაინის ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით შეადგენს 394 365 გრივნასა და 60 კაპიკს) მიწოდებული საქონლის დავალიანების ანაზღაურების მიზნით, 1 423, 23 აშშ დოლარი (რომელიც 31.03.2014 წლის მდგომარეობით უკრაინის ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით შეადგენს 15 590 გრივნასა და 95 კაპიკს) ჯარიმა და 328,44 აშშ დოლარი (რომელიც 31.03.2014 წლის მდგომარეობით უკრაინის ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით შეადგენს 3597 გრივნასა და 91 კაპიკს) წლიური სამი პროცენტი, ასევე, რვაათას სამასოცდათოთხმეტი გრივნა და 69 კაპიკი გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით.

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-3985-შ-104-2013

12 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ქ. მინსკის სამრეწველო სასამართლოს 2013 წლის 9 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ფ-ს“ შპს „ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების 41201,81 აშშ დოლარის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა შპს „ბ-მა“ აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 იანვრის განჩინებით შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში. მოწინააღმდეგე მხარეს, შპს „ფ-ს“ გაეგზავნა განჩინების ასლი, შუამდგომლობა და თანდართული მასალები.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატა გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

იმავე კანონის 57-ე მუხლის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქეები და იურიდიული პირები, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირები სამოქალაქო პროცესში საქართველოს ტერიტორიაზე სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი გარანტიებით, როგორც საქართველოს მოქალაქეები და იურიდიული პირები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული თავისი ან მოპასუხის მისამართი არასწორი აღმოჩნდა, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 იანვრის განჩინებით შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში. მონინა-ალმდეგ მხარეს, შპს „ფ-ს“ გაეგზავნა განჩინების ასლი, შუამდგომლობა და თანდართული მასალები შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებულ ორივე მისამართზე: ქ. თბილისი, ... ქ. №9 და თბილისი, ... ქ. №72ა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს კურიერის მიერ შედგენილი აქტებით დასტურდება, რომ ორივე ამ მისამართზე სხვა ორგანიზაციები მდებარეობს შპს „ფ-ი“ კი გადასულია სხვა მისამართზე.

პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი არასწორია, შპს „ბ-ის“ შუამდგომლობა განუხილველად უნდა დარჩეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე

განთავსებით.

ვინაიდან სასამართლოსათვის ცნობილი არ არის შპს „ფ-ის“ მისამართი ან სხვა საკონტაქტო მონაცემები, შუამდგომლობის ავტორისათვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით ვერ ხერხდება, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარისათვის განჩინების ჩაბარება საჯარო შეტყობინების ვერ-გვერდზე განთავსების გზით უნდა განხორციელდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე, 58-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 71-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს სადაზღვევო კომპანია „ბ-ი“ შუამდგომლობა ქ. მინსკის სამრეწველო სასამართლოს 2013 წლის 9 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დარჩეს განუხილველად;

2. განჩინება, მოპასუხე შპს „ფ-სათვის“ ჩაბარების მიზნით, გავრცელდეს საჯაროდ და განთავსდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge);

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანკინება

№ა-2475-შ-75-2014

27 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ხმელნიცკის ოლქის ხმელნიცკის საქალაქო რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით ე. გ-ს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხეებს ვ. ხ-სა და დ. ლ-კოს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 50 000 აშშ დოლარის გადახდა. მოპასუხეებს ასევე დაეკისრათ სახელმწიფო ბაჟი – 1720,50 გრივნი თითოეულს.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ე. გ-ს წარმომადგენელმა რ. ჩ-მ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, არ აღსრულებულა უკრაინის ტერიტორიაზე და მხარეები ესწრებოდნენ საქმის განხილვას.

### სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის ხმელნიცკის ოლქის ხმელნიცკის საქალაქო რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით ე. გ-ს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხეებს ვ. ხ-სა და დ. ლ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 50 000 აშშ დოლარის გადახდა. მოპასუხეებს ასევე დაეკისრათ სახელმწიფო ბაჟი – 1720,50 გრივნი თითოეულს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე რამდენიმე პირია და ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

მოცემულ შემთხვევაში დგინდება, რომ მოპასუხე ვ. ხ-ს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმავე მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი გამონაკლისებისა.

იმავე კანონის 70-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მიხედვით, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას. აღსრულებაზე გადაწყვეტილება მიიღება დაინტერესებულ მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ.

პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი გადაწყვეტილების ცნობის დამაბრკოლებელი გარემოებები, ამასთან უკრაინის ხმელნიცკის ოლქის ხმელნიცკის საქალაქო რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას და მხარეს აღძრული აქვს შესაბამისი შუამდგომლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ უკრაინის ხმელნიცკის ოლქის ხმელნიცკის საქალაქო რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-70 მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. გ-ს წარმომადგენელ რ. ჩ-ის შუამდგომლობა დაკმაყო-



ფილდეს;

2. უკრაინის ხმელნიცკის ოლქის ხმელნიცკის საქალაქო-რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №686/7556/13-ც გადაწყვეტილება ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-500-შ-11-2015

2 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატის**

**მოსამართლე: ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** განქორწინება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ისრაელის ქ. ხადერის მომრიგებლური სასამართლოს 2013 წლის 15 დეკემბრის განჩინებით ამ განჩინების მიღების დღიდან მეუღლეები: ე. ლ-ი და მ. ო-ი განქორწინდნენ, შესაბამისად, რეგისტრაციის მიზნით, დადგინდა შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის განქორწინების შეტყობინების აუცილებლობა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა მ. ო-მა და მოითხოვა დასახელებული განჩინების (გადაწყვეტილების) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, 2007 წლის 28 თებერვალს საქართველოში იქორწინა ისრაელის მოქალაქე ე. ო-ვთან, რომელმაც შეიცვალა გვარი და გახდა ე. ლ-ი.

მოგვიანებით მხარეები განქორწინდნენ, თუმცა იმისათვის, რათა მ. ო-მა კვლავ იქორწინოს საქართველოში, საჭიროა ქორწინების თაობაზე საქართველოში არსებული აქტის გაუქმება, ამისათვის კი, საჭიროა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

წარმოდგენილ შუამდგომლობას ერთვის ქორწინების მონაშთის ასლი, რომლის თანახმადაც ე. ო-ვი და მ. ო-ი 2007 წლის

28 თებერვალს დაქონრინდნენ საქართველოში, ასევე ასლის სა- ხით წარმოდგენილია აპოსტილით დამონმებული ისრაელის ქ.ხა- დერის მომრიგებლური სასამართლოს 2013 წლის 15 დეკემბრის განჩინება და მისი ქართულენოვანი თარგმანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე- თა პალატის 2015 წლის 27 თებერვლის განჩინებით მ. ო-ის შუ- ამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს დაეველა 10 (ათი) დღის ვადაში სათანადო მტკიცებულებით დაედასტურე- ბინა: ა) ქონრინების მოწმობაში მითითებული ე. ო-ვი იყო თუ არა ე. ლ-ი; ბ) მიეთითებინა ე. ლ-ის მისამართი; გ) გადაწყვეტი- ლება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღ- სრულებასაც იგი მოითხოვდა, შესულია თუ არა კანონიერ ძა- ლაში; დ) წარმოდგინა ისრაელის ქ.ხადერის მომრიგებლური სა- სამართლოს 2013 წლის 15 დეკემბრის განჩინების აპოსტილით დამონმებული დედანი და ამ გადაწყვეტილების (განჩინების) სანოტარო წესით დამონმებული ქართულენოვანი თარგმანი და ე) წარმოდგინა სათანადო მტკიცებულება, რომ ე. ლ-ი ისრაე- ლის კანონმდებლობის შესაბამისად გაფრთხილებული იყო სა- სამართლოში გამოძახების თაობაზე.

ზემოაღნიშნული განჩინება შუამდგომლობაზე ხარვეზის დადგენის შესახებ მ. ო-ს გაეგზავნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით და პირა- დად ჩაბარდა 2015 წლის 10 მარტს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შე- დეგად თვლის, რომ მ. ო-ს შუამდგომლობა ისრაელის ქ.ხადე- რის მომრიგებლური სასამართლოს 2013 წლის 15 დეკემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრუ- ლების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემო- ებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყ- ნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახ- მარების ცალკეული საპროცესო მოქმედებათა შესრულების შე- სახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბა- მისად. დასახელებული ნორმის თანახმად, საკასაციო სასამარ- თლო უცხო ქვეყნის შუამდგომლობის ცნობასა და საქართვე- ლოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევასთან დაკავში- რებული გარემოებების სამართლებრივი შეფასებისა თუ საპ- როცესო მოქმედების შესრულებისას ხელმძღვანელობს ეროვ-

ნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა მ. ო-მა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 თებერვლის განჩინებით წინამდებარე შუამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში დაევალა სათანადო მტკიცებულებით დაედგინებინა: ა) ქორწინების მოწმობაში მითითებული ე. ო-ვი იყო თუ არა ე. ლ-ი; ბ) მიეთითებინა ე. ლ-ის მისამართი; გ) გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც იგი მოითხოვდა, შესულია თუ არა კანონიერ ძალაში; დ) წარმოედგინა ისრაელის ქ.ხადერის მომრიგებლური სასამართლოს 2013 წლის 15 დეკემბრის განჩინების აპოსტილით დამოწმებული დედანი და ამ გადაწყვეტილების (განჩინების) სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და ე) წარმოედგინა სათანადო მტკიცებულება, რომ ე. ლ-ი ისრაელის კანონმდებლობის შესაბამისად გაფრთხილებული იყო სასამართლოში გამოძახების თაობაზე.

ხარვეზის დადგენის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება შუამდგომლობის ავტორს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად, გაეგზავნა საქმეში მითითებულ მისამართზე: ქ.ბათუმი, ... ქ, №3, ბ.25 და პირადად ჩაბარდა 2015 წლის 10 მარტს (იხ.შეტყობინების ბარათი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

ამდენად, ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ათ-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2015 წლის 11 მარტს და ამოიწურა 20 მარტს. მხარეს აღნიშნული ვადის განმავლობაში ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე სხვა შუამდგომლობით მიუმართავს სასამართლოსათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. კანონის დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ მხარე სწორედ კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვა-

დის განმავლობაშია ვალდებული, განახორციელოს მისთვის დაკისრებული საპროცესო მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ მან დაკარგა ინტერესი დავის მიმართ.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შუამდგომლობის ავტორს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში დაკისრებული საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს საკასაციო სასამართლოსათვის, პალატა თვლის, რომ მ. ო-ს შუამდგომლობა ისრაელის ქ.ხადერის მომრიგებლური სასამართლოს 2013 წლის 15 დეკემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის მეორე ნაწილით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მ. ო-ის შუამდგომლობა ისრაელის ქ.ხადერის მომრიგებლური სასამართლოს 2013 წლის 15 დეკემბრის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დარჩეს განუხილველად.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## ბანჩინება

№ა-2100-შ-59-2014

27 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფი არასრულ-  
წლოვანის შენახვის ხარჯების ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გროდნოს ლენინის რაიონის სასამართლოს 2006 წლის 23 ნოემბრის გადაწყვეტილებით ვ. ღ-ს დაეკისრა არასრულწლოვანი შვილის, 1989 წლის 5 სექტემბერს დაბადებული მ. ღ-ის შენახვის ხარჯები, რაც გაიღო სახელმწიფომ ბავშვის სახელმწიფოს კმაყოფაზე ყოფნის პერიოდში 2005 წლის 9 აგვისტოდან 2006 წლის 1 ოქტომბრამდე, სულ 1 813 935 ბელორუსული რუბლი. ვ. ღ-ს დაეკისრა არასრულწლოვანი შვილის, 1989 წლის 5 სექტემბერს დაბადებული მ. ღ-ის შენახვის ხარჯები, რაც გაიღო სახელმწიფომ ბავშვის სახელმწიფოს კმაყოფაზე ყოფნის პერიოდში თვეში 13200 რუბლი 2006 წლის 1 ოქტომბრიდან სახელმწიფოს მზრუნველობაში ყოფნის მთელი პერიოდისათვის. მასვე დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის, 31000 რუბლის, ანაზღაურება.

2014 წლის 26 ივნისს საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გროდნოს ლენინის რაიონის ადმინისტრაციის სპორტის, ტურიზმისა და განათლების განყოფილების უფროსის მოადგილე ე. დ-მა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე მუხლის საფუძველზე ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და იძულებით აღსრულების მოთხოვნით.

განცხადებაზე თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2006 წლის 5 დეკემბერს, ბელორუსიის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა და ვ.

ლ-ს დროულად ეცნობა საქმის განხილვის თაობაზე, ასევე ჩაბარდა სასარჩელო განცხადების ასლი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება. იგი ასევე შეიძლება წარედგინოს სასამართლოში, სადაც გამოტანილ იქნა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. ეს სასამართლო შუამდგომლობას გადასცემს სასამართლოს, რომელიც კომპეტენტურია გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ შუამდგომლობაზე.

იმავე კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვისა და აღიარების თაობაზე, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული კონვენციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და არც კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არსებობს.

კონვენციის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით იძულებითი აღსრულების წესი განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გროდნოს ლენინის რაიონის ადმინისტრაციის სპორტის, ტურიზმისა და განათლების განყოფილების უფროსის მოადგილე ე. დ-ის შუამდგომლობა საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 53-ე, 54-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

**და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გროდნოს ლენინის რაიონის ადმინისტრაციის სპორტის, ტურიზმისა და განათლების განყოფილების უფროსის მოადგილე ე. დ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. გროდნოს ლენინის რაიონის სასამართლოს 2006 წლის 23 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიექცეს აღსასრულებლად;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

**განჩინება**

№ა-3934-შ-108-2014

27 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**მოსამართლე: ნ. ბაქაქური**

**დავის საგანი:** მამის უფლების ჩამორთმევა

**აღწერილობითი ნაწილი:**

იტალიის ქ. ბარის არასრულწლოვანთა სასამართლოს 2013 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით ა. კ-ს ჩამოერთვა მამის უფლება შვილზე, თ. კ-ზე; არასრულწლოვნის, თ. კ-ის ცხოვრების პირობების და აღმზრდელობითი და ფსიქოლოგიური დახმარების კონტროლი დაევალა ქ. ჯოია დელ კოლეს სოციალურ სამსახურს.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა მ. ფ-მ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების სა-

ქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინებით წინამდებარე შუამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს განჩინების ასლის ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში დაევალა შემდეგი დოკუმენტის წარმოდგენა: 1) ცნობა იტალიის ქ. ბარის არასრულწლოვანთა სასამართლოს 2013 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თაობაზე; 2) ცნობა იმის შესახებ, რომ მოპასუხე ა. კ-ე უწყების ჩაბარების გზით იქნა გაფრთხილებული სასამართლოში საქმის განხილვის თაობაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ მ. ფ-ის შუამდგომლობა იტალიის ქ. ბარის არასრულწლოვანთა სასამართლოს 2013 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეული საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ნორმის თანახმად, საკასაციო სასამართლო უცხო ქვეყნის შუამდგომლობის ცნობისა და საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევასთან დაკავშირებული გარემოებების სამართლებრივი შეფასებისა თუ საპროცესო მოქმედების შესრულებისას ხელმძღვანელობს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა მ. ფ-მ და მოითხოვა მამის უფლების ჩამორთმევის ნაწილში დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინებით წინამდებარე შუამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს განჩინების ასლის ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში დაევალა წარმოდგენა: 1) ცნობა იტალიის ქ. ბარის არასრულწლოვანთა სასამართლოს 2013 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თაობაზე; 2) ცნობა იმის შესახებ, რომ მოპასუხე ა. კ-ე უწყების ჩაბარების გზით იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამომძახების თაობაზე.



ხარვეზის დადგენის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება შუამდგომლობის ავტორს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად, გაეგზავნა საქმეში მის მიერ მითითებულ მისამართზე: ქ. თბილისი, ... 25 კორპუსი, ბ.37. სასამართლოში დაბრუნებული საფოსტო შეტყობინების ბარათის თანახმად, გზავნილი მითითებულ მისამართზე 2015 წლის 5 თებერვალს ჩაბარდა მ. ფ-ს რძალს ლ. ლ-ს. ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილ ვადაში შუამდგომლობის ავტორს დაკისრებული საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია და არც რაიმე სხვა შუამდგომლობით მოუმართავს სასამართლოსათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ამავე კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ, როგორც მონინააღმდეგე მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ასევე ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. დასახელებული ნორმით კანონმდებელმა დაადგინა პრეზუმფცია, რომ მხარის მიერ მითითებულ მისამართზე გაგზავნილი კორესპოდენციის ჩამბარებელი პირი მისი ოჯახის ქმედუნარიან პირს წარმოადგენს და ამ უკანასკნელისათვის შეტყობინების გადაცემა უშუალოდ მხარისათვის გადაცემად მიჩნევის საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

ამდენად, ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ოცდღიანი ვადის დენა დაიწყო 2014 წლის 6 თებერვალს და ამოიწურა 25 თებერვალს. მხარეს აღნიშნული ვადის განმავლობაში

ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე სხვა შუამდგომლობით მიუმართავს სასამართლოსათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. კანონის დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ მხარე სწორედ კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში ვალდებული, განახორციელოს მისთვის დაკისრებული საპროცესო მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ მან დაკარგა ინტერესი დავის მიმართ.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შუამდგომლობის ავტორს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში დაკისრებული საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია და არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს საკასაციო სასამართლოსათვის, პალატა თვლის, რომ მ. ფ-ს შუამდგომლობა იტალიის ქ. ბარის არასრულწლოვანთა სასამართლოს 2013 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დარჩეს განუხილველად.

იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო შუამდგომლობის განუხილველად დატოვებას, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კვლავ მიმართოს სასამართლოს საერთო წესის დაცვით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ფ-ს შუამდგომლობა იტალიის ქ. ბარის არასრულწლოვანთა სასამართლოს 2013 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დარჩეს განუხილველად.

2. საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ გააჩივრდება.

# უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

## განჩინება

№ა-3967-შ-110-2014

27 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

მოსამართლე: ნ. ბაქაქური

**დავის საგანი:** განქორწინება

### აღწერილობითი ნაწილი:

აშშ ნიუ იორკის შტატის უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით ქორწინება ე. ჭ-სა და თ. ა-ს შორის გაუქმდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მომართა თ. ა-ის წარმომადგენელმა ე. მ-მა და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინებით წინამდებარე შუამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს განჩინების ასლის ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში დაევალა წარმოდგინა ცნობა აშშ ნიუ იორკის შტატის უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თაობაზე.

ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება თ. ა-ის წარმომადგენელ ე. მ-ს ეცნობა სატელეფონო შეტყობინებით 2015 წლის 30 იანვარს.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ თ. ა-ის შუამდგომლობა აშშ ნიუ იორკის შტატის უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეული საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბა-

მისად. აღნიშნული ნორმის თანახმად, საკასაციო სასამართლო უცხო ქვეყნის შუამდგომლობის ცნობისა და საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევასთან დაკავშირებული გარემოებების სამართლებრივი შეფასებისა თუ საპროცესო მოქმედების შესრულებისას ხელმძღვანელობს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა თენგიზ ამყოლაძის წარმომადგენელმა ე. მ-მა და მოითხოვა განქორწინების ნაწილში დასახელებული გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინებით წინამდებარე შუამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს განჩინების ასლის ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში დაევალა წარმოდგინა ცნობა აშშ ნიუ იორკის შტატის უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 ივლისის გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თაობაზე.

ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება თ. ა-ის წარმომადგენელ ე. მ-ს ეცნობა სატელეფონო შეტყობინებით 2015 წლის 30 იანვარს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო ჩაბარების განსხვავებულ, გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში – ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წესით. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

ამდენად, ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ოცდღიანი ვადის დენა დაიწყო 2015 წლის 31 იანვარს და ამოიწურა 19 თებერვალს. მხარეს აღნიშნული ვადის განმავლობაში ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე სხვა შუამდგომლობით მიუმართავს სასამართლოსათვის.

2015 წლის 2 მარტს თ. ა-ის წარმომადგენელმა ე. მ-მა განცხადებით მომართა საკასაციო პალატას და მოითხოვა ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. კანონის დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ მხარე სწორედ კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაშია ვალდებული, განახორციელოს მისთვის დაკისრებული საპროცესო მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ მან დაკარგა ინტერესი დავის მიმართ.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ შუამდგომლობის ავტორს და მის წარმომადგენელს ხარვეზის შესავსებად მიცემული საპროცესო ვადა ამოეწურათ 2015 წლის 19 თებერვალს, ხოლო თ. ა-ის წარმომადგენელმა ე. მ-მა საკასაციო სასამართლოს ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ განცხადებით მომართა 2015 წლის 2 მარტს, ანუ სასამართლოს მიერ დანიშნული საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შუამდგომლობის ავტორს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში დაკისრებული საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია, პალატა თვლის, რომ თენგიზ ამყოლაძის წარმომადგენლის ე. მ-ის განცხადება ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ არ დაკმაყოფილდეს და შუამდგომლობა აშშ ნიუ იორკის შტატის უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დარჩეს განუხილველად.

იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო შუამდგომლობის განუხილველად დატოვებას, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კვლავ მიმართოს სასამართლოს საერთო წესის დაცვით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. ა-ის შუამდგომლობა აშშ ნიუ იორკის შტატის უზენაესი

სასამართლოს 2011 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დარჩეს განუხილველად.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება**

### **განჩინება**

№ა-1628-შ-48-2014

27 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** განქორწინება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

აშშ-ს კალიფორნიის შტატის სან-ფრანცისკოს ოლქის უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. კ-სა და ვ. ე. მ-ს შორის ქორწინება შეწყდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა ლ. კ-მ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაშია შესული 2011 წლის 15 ნოემბრიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 მაისის განჩინებით ლ. კ-ს დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარმოდგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ რომ მხარეები სან-ფრანცისკოს ოლქის უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვის თაობაზე გაფრთხილებული იყვნენ კანონით დადგენილი წესით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. კ-ს შუამდგომ-

ლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

აშშ-ს კალიფორნიის შტატის სან-ფრანცისკოს ოლქის უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. კ-სა და ვ. ე. მ-ს შორის ქორწინება შეწყდა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, აშშ-ს კალიფორნიის შტატის სან-ფრანცისკოს ოლქის უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. კ-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
  2. აშშ-ს კალიფორნიის შტატის სან-ფრანცისკოს ოლქის უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. კ-სა და ვ. ე. მ-ს შორის ქორწინება შეწყდა, ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საკიეპელი

### უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

- ალიმენტის გადახდა;  
სასამართლო ხარჯების ანაზღაურება ..... 11; 19; 73; 92; 106; 123
- განქორწინება ..... 23; 29; 31; 46; 57; 59; 61; 98;  
104; 113; 126; 137; 147; 150
- დავალიანების ანაზღაურება ..... 24; 26
- თანხის დაკისრება;  
ფულადი ვალდებულების შესრულება;  
ზიანის ანაზღაურება ..... 3; 9; 15; 33; 36; 40; 50; 54;  
69; 75; 78; 80; 86; 96; 100;  
102; 108; 118; 127; 132; 135
- მამობის დადგენა ..... 5
- მშობლის უფლების ჩამორთმევა ..... 48; 110; 143
- სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფი  
არასრულწლოვანის შენახვის  
ხარჯების ანაზღაურება ..... 121; 141
- შვილად აყვანა ..... 7
- შვილებთან ურთიერთობის  
წესის განსაზღვრა ..... 64